# სარბიელი

სპორტული გაზეთი · ოთხშაბათი 11 ივნისი 2003 №106 (1877) · ფასი 50 თეთრი


# შუშაკის ფსიქოლოგიური შეტევა ქართველებზე

# გახსოვდეთ რუსეთი!

## ლენსდაუნ როუდზე მოიგებს ის, ვინც იომებს



ბადრი კეთილაძის ფოტო

## თბილისში დანაგარტყმულმა კევინ კილბეინმა სიტყვით დაგვჭრა: ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციას შეუძლია ახლავე შეუკვეთოს პორტუგალიის ბილეთები



ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ საქართველოს ნაკრებს გუშინწინ სასუქმოყრილ „ლენსდაუნ როუდის" მინდორზე ფეხი შეადგმევინეს და 45 წუთი ავარჯიშეს. კარგი ამბავია, რომ ზურაბ ხიზანიშვილმა დაჭიმული კუნთი თითქმის მოირჩინა და გუშინდელ ვარჯიშზეც ბოლომდე დაიხარჯა. ცუდი კი ალექსანდრე იაშვილის სიცხიანობაა. მართალია, „ლენსდაუნ როუდზე" შუშაკის მითითებებს ფრაიბურგელიც ასრულებდა, მაგრამ სასტუმროში დაბრუნებულმა ვახშამზე მისვლაც ვერ შეძლო და მისი დღეს თამაში ძალზედ საეჭვოა. ამიტომაცაა, ივო შუშაკმა იაშვილის შემცვლელად ახალგაზრდულ ნაკრებში გუშინ თავგამოჩენილ ლადო ახალაიას რომ უხმო. შევნიშნოთ, რომ ახალაიას ირლანდიელთა კარში გოლების გატანა ნამდვილად ეხერხება — 21-წლამდელებს თბილისშიც გაუტანა და გუშინ კილკენშიც დააწინაურა ჩვენი ოლიმპიელები. აქვე ვთქვათ, რომ რევაზ არველაძის გუნდმა უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო და „ბაკლი პარკიდან" ქულის წამოღებალა მოახერხა.

დღეს კი მთავარი მატჩია, რომლის ყველა ბილეთი უკვე გაყიდულია და საქართველოს ნაკრებს „ლენსდაუნ როუდის" მწვანედ შეფერილი ტრიბუნების წინ მოუწევს რუსთა დამარცხებით აღდგენილი ღირსების დაცვა.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრე განათებულ ტყეში

## ქართველი ხომ დაღალული ატმის რტოა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. X ჯგუფი

### ირლანდია 1:1 საქართველო

კილკენი. 10 ივნისი. 23.30 საათი. ბაკლი პარკი. 800 (ტევადობა 1 300)

0:1 ახალაია (27), 1:1 კრაიანი (55)

ირლანდია: კონორი, კაპერი, კელი, კრაიანი, ტომპსონი, გილროი, ბატლერი, ბარეტი, ოფლინი (ელიოტი 68), ტორნტონი (ოკონორი 80), რიდი (მულაპანი 89)
*სათადარიგონი:* ბორნი; კოლმენი, უორდი, დინი
მწვრთნელი: დონ გივენსი

საქართველო: მამალაძე, ციმაკურიძე, სალუქვაძე, ინწკირველი (გ. ბერიანიძე 85), კანდელაკი, გ. ჭელიძე, გამეზარდაშვილი, ხოჯავა (ე. საჯაია 65), დეკანოსიძე (ახალკაცი 80), ახალაია, ბობოხიძე
*სათადარიგონი:* ივარდავა; ქოქიაშვილი, ლ. რეხვიაშვილი, გ. ჩხეტიანი
მწვრთნელი: რევაზ არველაძე

გაძევება: გილროი (66)

მსაჯები: რობერტ იონსდორფი; ფრანსუა მანგენი, ფრანკო მარალინო; პოლ კრში (ყველა ლუქსემბურგი)

უეფა-ს დელეგატი: დანე იოსტი (სლოვენია); ინსპექტორი: მიშელ ჟერარი (საფრანგეთი)

ჯარიმა: 12-9; კუთხური: 4-11; კარისკენ დარტყმა: 4-5; კარში დარტყმა: 3-6; თამაშგარე: 0-1

კობა ინასარიძე

კილკენიდან



ირლანდიელებს არც საქართველოს ახალგაზრდული გუნდი გაუნებივრებიათ — მატჩი დუბლინიდან ორსაათნახევრის სავალზე, კილკენში დანიშნეს. თუმც სტადიონი, რომლის დასავლეთი ტრიბუნაც სულ სამასადგილიანია, ხოლო სამხრეთისა ათას სკამს ითვლის, კილკენიდან 10 კილომეტრის მოშორებით, ტყეში მდებარეობს. სტადიონი უფრო სავარჯიშო ალაგს წააგავს, ვიდრე ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი მატჩის სამასპინძლო სარბიელს: მოედნის პირითი ხაზიდან მეტრით დაშორებული ბოძები, რომლებზეც პროჟექტორებია დამონტაჟებული და ადვილი შესაძლებელია, ფეხბურთელმა უმძიმესი ტრავმა მიიღოს; მუშა, რომელიც მატჩის დელეგატის მითითებით მოედანს ხაზავს, მის გარშემო კი ფეხბურთელები მოთელვას იწყებენ; და ვაგონები, რომლებშიც გასახდელებია მოწყობილი — აი, როგორია „ბაკლი პარკი", სადაც ირლანდიელებმა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ათამაშეს. ქართული სოფლის სტადიონებისგან „ბაკლი პარკი" მოედნის ხარისხით თუ განსხვავდება, თორემ ტრიბუნაზე მზესუმზირის გამყიდველი ჩვენშიც მრავლადაა...

მატჩი ორიოდ წუთის დაგვიანებით, პროჟექტორების შუქზე და ირლანდიელთა შეტევებით დაიწყო, თუმც პირველი დარტყმა ჩვენებისაა; მე-8 წუთზე ახალაიას წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა დაახლოებით 20 მეტრიდან დეკანოსიძემ შეასრულა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა. წუთის შემდეგ იმავ დეკანოსიძის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებული გამოდგა მასპინძელთათვის ძალიან სახიფათო. მომდევნო ათი წუთი შედარებით მშვიდია. მოედნის შუაში ბურთს ქართველები აკონტროლებდნენ, დეკანოსიძე ბევრს და დაუღალავად მუშაობს, ირლანდიელთაგან კი თბილისშიც გამორჩეული ტორნტონი ცდილობს თამაშის გამწვავებას.

22-ე წუთი: ქართველები ზედიზედ ორ კუთხურს აწვდიან, ბობოხიძე თავით უზუსტოდ ურტყამს, წუთის მერე კი ხოჯავას დარტყმულმა ანერვიულა მასპინძლები — ბურთმა ხარიხას გადაუქროლა.

27-ე წუთი: ირლანდიელების შეტევა ჩვენებმა მოედნის ცენტრში ჩაშალეს, დეკანოსიძემ გონივრული პასით ახალაია კონორთან პირისპირ დატოვა, ლადომ შანსი ხელიდან არ გაუშვა, მეკარეს დაასწრო და ჭვინტით ბურთი კარში შეაგორა — 0:1.

ირლანდიელები დაბნეულები არიან, მათ ცენტრის ხაზის გადაკვეთაც კი უჭირთ. ქართველები მატჩის საწყის მესამედში უკვე მეექვსე კუთხურს აწვდიან და კინაღამ მეორე გოლიც გააქვთ: ინწკირველის თავური კონორმა სასწაულებრივად მოიგერია, ბობოხიძის დამატებული კი მიზანს ასცდა. წუთიც და, კვლავ ხიფათი მასპინძელთა კართან: დეკანოსიძემ კონორს ამჯერად ხოჯავა შეატოვა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა.

37-ე წუთისთვის ქართველების უპირატესობა აშკარაა, ამ დროისთვის „სამყურებს" მამალაძის კარისკენ ერთხელაც არ დაურტყამთ. ჩვენები უკვე მეცხრე კუთხურს აწვდიან. ირლანდიელთა პირველი კუთხური კი 41-ე წუთზე იყო და მასპინძლები ტაიმის ბოლოსკენლა გააქტიურდნენ, შეეძლოთ კიდეც გატანა, მაგრამ გილროიმ მცველების შეცდომით ვერ ისარგებლა, დასარტყმელად დაგორებულ ბურთს პენალტის ნიშნულთან ფეხი ააცილა. ტაიმიც აქვე დამთავრდა.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები სისწრაფეში და ბრძოლისუნარიანობით მასპინძლებს ალემატება. ჩვენებს იღბალი მეტი რომ ჰქონდეთ, ანგარიშში სხვაობაც მეტი იქნებოდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები საგრძნობლად გააქტიურდნენ და ერთიორი მწვავე შეტევაც წამოიწყეს. კუთხურიდან ბატლერის ჩაწოდებულს ტორნტონი უტრყამს, მაგრამ მამალაძემ იყოჩაღა და ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

55-ე წუთი: საჯარიმოდან ტორნტონის დარტყმული ბურთი მამალაძეს ხელიდან გაუვარდა, მცველებმაც დააგვიანეს და კრაიანმა თავურით ანგარიში გაათანაბრა.

თამაშის ტემპმა იმატა, ჩვენებიც გააქტიურდნენ, მაგრამ პირველისგან განსხვავებით, მეორე ტაიმში ირლანდიელთა დაცვა უფრო ყურადღებითაა. თუმცა მსაჯმა ბოლო იმედის ჯარიმისთვის გილროი გააძევა მოედნიდან: კონტრშეტევისას ახალაია მცველებს დაუსხლტა და მოედნის ცენტრიდან დაძრული მეკარესთან პირისპირ რჩებოდა, როცა ირლანდიელმა მაისურზე დაქაჩა. ლუქსემბურგელმა არბიტრმა იონსდორფმა ახალაიას შეტევა მაინც აცალა და წითელი ბარათი შეტევის ჩაშლის შემდეგღა ამოიღო.

75-ე წუთზე, მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, ქართველები აშკარა გოლს გადაურჩნენ. რიდის კუთხურს იმავ კრაიანმა დაუხვედრა თავი, მაგრამ ბურთი მამალაძეს ველარ ააცილა. სტუმრები, ეტყობა, დაიღალნენ, კაცნაკლული ირლანდიელები უფრო მხნედ გამოიყურებიან, რისი დასტურიც რიდის ორი სახიფათო დარტყმა გახლავთ, საბედნიეროდ, ორჯერვე ბურთი კარს ასცდა.

ქართველებმა თამაშის სადავეები მთლიანად ხელიდან გაუშვეს. ოცწუთიან მონაკვეთში ჩვენებს კარისკენ არც დაურტყამთ, მხოლოდ ერთხელ, ბობოხიძემ სცადა კონორის შეწუხება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მატჩის დამთავრებამდე წუთით ადრე კი გიორგი ჭელიძეს ძალიან კარგი მომენტი გაუცუდდა... კონორის მიერ მუშტებით მოგერიებული ბურთი მან მიწაზე დაუშვებლად დაარტყა, მაგრამ ცარიელ კარს ველარ დაუმიზნა. წუთშივე იონსდორფმა მატჩის დამთავრებისა ჩასტვინა.

„ბაკლი პარკზე" მატჩისშემდგომი პრესკონფერენცია არ გამართულა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა *რევაზ არველაძემ* კი ქართველ ჟურნალისტებს ეს გვითხრა: „გული მწყდება, რომ ვერ მოვიგეთ, თუმც შედეგი ლოგიკური იყო. ჩვენი გუნდის თამაშს დაღლილობამ დაატყო კვალი, ამიტომაც იყო, ბრწყინვალედ ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ რომ მოვდუნდით და გოლითაც დავისაჯეთ. მეტოქე ფეხბურთელი მსაჯმა სამართლიანად გააძევა, რადგან იმ ეპიზოდისას ახალაიას გოლი გაჰქონდა. დარჩენილ მატჩებში წარმატებას შევეცდებით, რადგან არ გვსურს, შესარჩევი ეტაპი მოუგებლად დავასრულოთ."



ლადო ახალაიამ (№9) ირლანდიელებს კილკენშიც გაუტანა



შვეიცარიელმა ანდრე მუფმა ალბანეთს გამთანაბრებელი გაუტანა

## ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

### შესარჩევი ეტაპი

#### ჩვენი ჯგუფი. VI ტური

შვეიცარია 2:1 ალბანეთი

01 მანსაკუ (18), 1:1 მუფი (49), 2:1 ვონლანტენი (90პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 6 | 5 | 1 | 0 | 10:3 | 16 |
| რუსეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:2 | 12 |
| ირლანდია | 6 | 1 | 2 | 3 | 6:9 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | 4 |
| საქართველო | 5 | 0 | 2 | 3 | 2:9 | 2 |

#### II ჯგუფი

ნორვეგია 2:1 რუმინეთი

ლუქსემბურგი 0:6 დანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 5 | 0 | 1 | 21:3 | 15 |
| ნორვეგია | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| ბოსნია | 5 | 3 | 1 | 1 | 4:4 | 10 |
| რუმინეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 4:7 | 3 |
| ლუქსემბურგი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:23 | 0 |

#### III ჯგუფი

ჩეხეთი — მოლდოვა *დღეს*

ავსტრია — ბელარუსი *დღეს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 4 | 0 | 0 | 11:1 | 12 |
| ავსტრია | 5 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 |
| ბელარუსი | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| ჰოლანდია | 5 | 0 | 2 | 3 | 4:9 | 2 |
| მოლდოვა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |

#### IV ჯგუფი

შვედეთი 1:1 პოლონეთი

სან მარინო 1:2 უნგრეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 19:4 | 13 |
| უნგრეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 16:9 | 12 |
| შვედეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 13:7 | 10 |
| ლატვია | 5 | 2 | 0 | 3 | 7:11 | 6 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 5:29 | 0 |

#### V ჯგუფი

ლიტვა 3:0 ისლანდია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 9 |
| გერმანია | 3 | 2 | 1 | 0 | 7:3 | 7 |
| შოტლანდია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ისლანდია | 4 | 0 | 0 | 4 | 1:8 | 0 |

#### VI ჯგუფი

ჩრდ. ირლანდია 1:4 ესპანეთი

საბერძნეთი 0:0 უკრაინა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 12:2 | 13 |
| საბერძნეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| უკრაინა | 6 | 1 | 5 | 0 | 7:3 | 8 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 0 | 1 | 4 | 5:14 | 1 |

#### VII ჯგუფი

თურქეთი 3:0 მაკედონია

ინგლისი 2:0 სლოვაკეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 6 | 5 | 1 | 0 | 15:4 | 16 |
| პორტუგალია | 5 | 4 | 0 | 1 | 13:7 | 12 |
| ინგლისი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:6 | 10 |
| სლოვაკეთი | 6 | 1 | 0 | 5 | 3:11 | 3 |
| მაკედონია | 6 | 0 | 0 | 6 | 2:17 | 0 |

#### VIII ჯგუფი

ესტონეთი 0:0 ხორვატია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 4 | 2 | 2 | 0 | 7:3 | 8 |
| ბელგია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| ბულგარეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| ესტონეთი | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |

#### IX ჯგუფი

ფინეთი 1:2 იტალია

აზერბაიჯანი — სერბეთი *დღეს*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| *იტალია* | 5 | 5 | 0 | 0 | 12:3 | 15 |
| ფინეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 10:9 | 7 |
| სერბეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 9:8 | 7 |
| უელსი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:4 | 6 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:13 | 0 |

## ამხანაგური მატჩი

პორტუგალია 4:0 ბოლივია



REUTERS

პედრუ პაულეტას (№8) პორტუგალიამ ბოლივიასთან ამხანაგობა არ ისურვა


ივო შუშაკი

# გაიხსენეთ რუსეთი! ლენსდაუნ როუდზე ის მოიგებს, ვინც იომებს

*ირლანდიას მხოლოდ ფანატიზმით დავამარცხებთ, თქვენ საკუთარ თავს უნდა აჯობოთ, ჩვენ შეგვიძლია ქომაგის ერთხელაც გახარება, გაიხსენეთ რუსეთი და გადამწყვეტი ბრძოლისთვის მოემზადეთ — ასე აგულიანებს საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ივო შუშაკი შეგირდებს*

კობა ინასარიძე
დუბლინიდან



— მე დუბლინში მოსაგებად ჩამოვედი და დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს ნაკრებს შეუძლია მასპინძელთა გამწარება — ამას უკვე ჩვენ, ჟურნალისტებს გვეუბნება შუშაკი. გუშინაც ვწერდი და დღესაც აუცილებელი მგონია იმის თქმა, რომ დუბლინში მყოფი ქართველობა დღევანდელი მატჩის წინ ისე იმედიანადაა განწყობილი, როგორც არასდროს. შუშაკი ყოველწუთს „ფანატიზმ", „ფანატიზმ"-ს ჩააგონებს გუნდს. მას მიაჩნია, რომ ირლანდიასთან მატჩში ნაკლებმნიშვნელოვანი იქნება თამაშის ხარისხი, წმინდა საფეხბურთო კომპონენტები. „ლენსდაუნ როუდზე" ის მოიგებს, ვინც კბილებით იბრძოლებს, იომებს. ფეხბურთელები კი სამისოდ მზად არიან.

მწვრთნელს ახლა ერთი პრობლემა აწუხებს — ითამაშებს თუ არა ზურაბ ხიზანიშვილი. ზურამ გუშინწინ „ბოჰემიანსის" სტადიონზე ფიზმომზადების მწვრთნელთან ერთად ნახევარი საათი კი ივარჯიშა და კუნთს თითქოს აღარ შეუწუხებია, მაგრამ ექიმები მაინც ფრთხილობენ, ვარჯიში ვარჯიშია, თამაშისას კი კუნთმა შესაძლოა დატვირთვას ვერ გაუძლოსო. მისი საკითხი ამ დილით გაირკვევა. თუ ზურამ მოედანზე გასვლა ვერ მოახერხა, შუშაკს დაცვის თავიდან მოფიქრება, გადაწყობა მოუწევს, ვინაიდან, შევიტყვეთ, რომ მწვრთნელი რუსეთთან ნაწრთობი დაცვის — ხიზანიშვილი, ხიზანეიშვილი, კალაძე — შეცვლას არ აპირებს. აი, შუა ხაზში კი... დიდი შანსია, მწვრთნელმა ასათიანი და ქინქლაძე მოედნის ცენტრში ათამაშოს, მათ ზურგი რეხვიაშვილით გაუმაგროს, ფლანგებზე ბურდული-დიდავა გამოიყენოს, თავდასხმაში კი დემეტრაძე-არველაძე. კარში, რა თქმა უნდა, ლომაია. ყოველ შემთხვევაში, გუშინ, როცა „ლენსდაუნზე" მატჩისწინა ვარჯიშისას სავარაუდო შემადგენლობაზე იყო ლაპარაკი, თითქმის ყველამ ძირითადისთვის ეს თერთმეტი ფეხბურთელი ჩამოთვალა. და როცა ასეთ შემადგენლობას ვვარაუდობთ, ვითვალისწინებთ, რომ შუშაკი ხშირად ამბობს, ბრიტანეთში მოთამაშეები ბრიტანული სტილის ირლანდიასთან უფრო ეფექტურები იქნებიანო. ხიზანიშვილი, ქინქლაძე და არველაძე კი სწორედ ბრიტანეთში თამაშობენ. ბარემ აქვე ვთქვათ და ძირითად შემადგენლობაზე ვარაუდებს იმით მოვრჩეთ, რომ არაა გამორიცხული, შუშაკმა სამყურებს სიურპრიზი შესთავაზოს და სამი თავდამსხმელით შეუტიოს.


ზურაბ ხიზანიშვილი

სწორედ სამი თავდამსხმელით და ამდენივე ჰავბეკით დაუხვდა ირლანდია შაბათს ალბანელებს. ამ მატჩს დასაზვერად შუშაკის თანაშემწე ოთარ გაბელია უნდა დასწრებოდა, მაგრამ მისი ავადმყოფობის გამო „ლენსდაუნზე" გივი ნოდია მოხვდა.

— ირლანდიელებმა მატჩი საკმაოდ თამამად დაიწყეს — სამი ფორვარდით. დაფი ოღნავ უკნიდან, ფლანგიდან უტევდა, შეტევაში მონაწილეობდა ირლანდიელთა სამივე ნახევარმცველი და ორი მცველიც. მასპინძლებმა დაცვა ფაქტობრივად მოაშიშვლეს და დაწინაურების შემდეგ დაისაჯნენ კიდეც. შესვენებაზე კი კერმა თავდასხმის ხარჯზე შუა ხაზი გააძლიერა. ამან შედეგი მისცა. ვფიქრობ, ირლანდია ვერ გაბედავს ჩვენთანაც სამი თავდამსხმელით თამაშს, შესაძლოა ეს მათთვის დამღუპველიც კი იყოს, მით უმეტეს, ალბათ, დაფი ვერ ითამაშებს — გვითხრა გივი ნოდიამ.

ისევ ჩვენს გუნდს მივუბრუნდეთ. გუშინწინ სიცხემ აუწია ალექსანდრე იაშვილს. ვარჯიშით კი ივარჯიშა, მაგრამ სუსტად იყო. გუშინ დილით იაშვილი ექიმებმა ჯანზე მოიყვანეს და დილითვე გუნდს ექსკურსიაზე გაჰყვა. მწვრთნელების გარდა მთელმა გუნდმა დუბლინს ავტობუსით შემოუარა. მწვრთნელები კი სასტუმროში ტაქსს ელოდნენ, მაგრამ... გუშინ დუბლინელი ტაქსისტები გაიფიცნენ და ქალაქის ცენტრში ისეთივე აქცია მოაწყვეს, ქართველ „მემარშრუტკეებს" რომ სჩვევიათ ხოლმე თბილისის მერიის წინ. ტაქსისტები სალიცენზიო პირობების თუ რაღაც ამგვარის გაუმჯობესებას ითხოვენ, რაც ჩვენთვის საინტერესო სულაც არაა და სამყურათა სხვა, საფეხბურთო ამბავი ვთქვათ: აქაური პრესა აჭრელებულია დემიენ დაფის ფოტოებით. როგორც იცით, დაფიმ ალბანეთთან მატჩისას კუნთი იტკინა. მან კვირას გუნდთან ერთად ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ შუა გზაზე მიატოვა. ექიმთა ჩარევის მიუხედავად მან ტრავმის მოშუშება ჯერ ვერ შეძლო და ჩვენი კოლეგები ირწმუნებიან, საქართველოსთან მისი თამაში გამორიცხულიაო. დაფის არყოფნა ირლანდიელებისთვის მეტად სამწუხარო ამბავია, ყველა ამას ჩივის: „მართალია, ჯერ საბოლოოდ არ შევგუებივართ აზრს, რომ უდაფოდ თამაში მოგვიწევს, მაგრამ ამისთვის მაინც მზად უნდა ვიყოთ. ირლანდია თავის დროზე შეეგუა როი კინის არყოფნას. ვიმედოვნებ, დემიანის ტრავმა გუნდის თამაშზე არ აისახება, თუმცა მან რომ ითამაშოს, წარმატების შანსი ერთი-ორად გაგვეზრდება" — ამბობს ირლანდიელთა მწვრთნელი ბრაიან კერი. მისი შეგირდები კი კვლავაც საკმაოდ თამამ პროგნოზებს აკეთებენ. დაფის შესაძლო არყოფნაზე ყურადღებას არც ამახვილებენ. მაგალითისთვის: კევინ კილბეინი მოურიდებლად არხეინობს და საფეხბურთო ასოციაციას მიმართავს, უკვე პორტუგალიის ბილეთები შეიძინეთო. შეგახსენებთ, ეს ის კილბეინია, ვისაც თბილისური მატჩისას ტრიბუნიდან ნასროლი დანა მოხვდა.


ბრაიან კერი

დუბლინში გუშინ კი გამოიდარა, მაგრამ ნაშუადღევს ისევ გაწვიმდა, რაც ჩვენებს სულაც არ ახარებთ. ირლანდიელთა სათამაშო სტილის ჩამოყალიბებული მოხმარებული ასეთი ამინდი, გამოურკვევად? ხოლმე ლაპარაკში ფეხბურთელები. ტემპერატურა 15 გრადუსზე ზემოთ არ იწევს. გუშინვე აქაურმა საბუქმეკერო კანტორებმა ირლანდია — საქართველოს მატჩზე ფსონები გამოაქვეყნეს. ჩვენების მოგება 1-10 ფასობს, მასპინძლებისა 1-1,11-ზე.

## სადღეისო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 5 | 2 | 3 | 0 | 9:5 | 9 |
| რუსეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 11:9 | 7 |
| ირლანდია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| ალბანეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| საქართველო | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | 4 |


დღეს დუბლინში ქართველებს კახა კალაძე უკაპიტნებს




დღეს შესაძლოა ასათიან-ქინქლაძის დუეტის დებიუტი შედგეს

## საქართველოს ნაკრების კაპიტნები

| | |
|---|---|
| გიორგი ნემსაძე | 37 |
| კახა ცხადაძე | 22 |
| თემურ ქეცბაია | 6 |
| მურთაზ შელია | 5 |
| გოჩა ჯამარაული | 4 |
| გია ჯიშკარიანი | 3 |
| გიორგი ჯიქიძე | 3 |
| ირაკლი ზოიძე | 1 |
| კახა კალაძე | 1 |
| გელა კეტაშვილი | 1 |
| გიორგი ქინქლაძე | 1 |
| გიორგი შაშიაშვილი | 1 |

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი
ჩვენი მეტოქეები

# კუნმა წუნი იპოვა

## ბრიგელს ტერფმა ტარე დააკარგვინა

### შვეიცარია – ალბანეთი



ესპანური წიწაკა: არტურო იბანიესი

შაბათს კარგი გაკვეთილი მივიღეთ. მე ჩემი გუნდის სუსტი წერტილი ვიპოვე და ალბანეთთან მატჩისთვის პრობლემა მოგვარებული იქნება — განუცხადა გუშინ შვეიცარიულ „ბლიკს“ იაკობ კუნმა. გამოცდილი მწვრთნელის აზრით, რუსეთთან ვერმოგება მისი გუნდის მარცხენაფლანგელთა სუსტმა თამაშმა განაპირობა. კუნი განსაკუთრებით ლუდოვიკ მანინის და რაფაელო ვიკს შემოსწყრა. შევნიშნოთ, რომ სწორედ მანინის მიუძღვის ბრალი იმ საბედისწერო ჯარიმაში, რომელსაც რუსთა საპასუხო გოლი მოჰყვა. ესპანელმა არბიტრმა არტურო იბანიესმა კი რაფაელ ვიკს „აჰკიდა“ პენალტი იანოვსკისთან ბრძოლაში. ვიკის შემცვლელად იაკობ კუნმა კრისტოფ შპიხერი შეიგულა, გული მიგრძნობს, არ გამაწბილებსო.

შვეიცარიელებს დანაკლისი აქვთ. გამოცდილმა პატრიკ მიულერმა რუსებთან მატჩში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაუხვდება ალბანელებს. მას ლივერპულელი სტეფან ანშო შეცვლის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფორმიდან ამოვარდნილი ანშო ბოლო სამი თვის მანძილზე პირველად მოხვდება ძირითად შემადგენლობაში.

რუსეთთან მატჩმა აჩვენა, რომ 90 წუთის სათამაშოდ მზად არ არის შემტევი ნახევარმცველი ფაბიო სელესტინი. იაკობ კუნს მის სათადარიგოდ იოჰან ფოგელი ჰყავდა შეგულებული, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ფოგელს ალერგია შეხვდა და საეჭვოა, დღეს მოედანზე გასვლა შეძლოს.

შვეიცარიელები კვლავაც სამი თავდამსხმელით შეუტევენ. ალბანელთა მსხვერევას სტეფან შაპუიზა, ალექსანდრ ფრეი და ჰაკან იაკინი შეეცდებიან.

„ვნახე ირლანდია — ალბანეთის ვიდეოფირი და უფრო დავრწმუნდი, რომ ძლიერი ნაკრები გაგვიწევს მეტოქეობას. ალბანეთს იღბალმა აქცია ზურგი, თორემ წასაგები არაფერი სჭირდა დუბლინში. ბრიგელის გუნდის დასამარცხებლად დიდი ენერგია და 100 პროცენტით მობილიზება დაგვჭირდება, თავს არ დავზოგავთ საიმისოდ, რომ შვეიცარიის ნაკრები ბოლომდე მომზადებული შეხვდეს ოთხშაბათის მატჩსო — თქვა კუნმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე. შვეიცარიელთა თავკაცს არტურო იბანიესის შემკობაც არ დავიწყებია — ესპანური წიწაკის გემო ახლაც ახრჩობს შვეიცარიის ნაკრებსო, დაიჩივლა რუსეთთან მსაჯობით უკმაყოფილო შვეიცარიელთა თავკაცმა.

საბედნიეროდ შვეიცარიელებზე მეტი თავსატეხი აქვთ ალბანელებს. ნაკრების მწვრთნელ კარლ-ჰაინც ბრიგელს იგლი ტარეს ტერფი დიდ პრობლემად ექცა. ტარე ირლანდიასთან მატჩში დაშავდა და სასწაული იქნება, თუ მატჩამდე ექიმებმა მისი განკურნება შეძლეს. დაშავებულ ქერა შემტევს ალბან ბუში შეცვლის. ამ კაცს დისკვალიფიკაციის გამო ირლანდიასთან არ უთამაშია და ახლა კბილებს ილესავს, მწვრთნელი თუ მენდო, თავს არ შევირცხვენო. ალბანელებს დაშავებული ჰყავთ ედვინ მურატიც, საეჭვოა ამ ნახევარმცველის თამაშიც. დიდი დანაკლისია კაპიტნის, მეკარე ფოტო სტრაკოშას ტრავმაც. გამოცდილმა გოლკიპერმა დუბლინურ მატჩში კისერი იტკინა და დღეს სათადარიგო ბექაის მოუწევს ჩაუქობა.



კრისტოფ შპიხერი იაკობ კუნის საიმედო რეზერვია

მიუხედავად ასეთი ვითარებისა, კარლ-ჰაინც ბრიგელი თავდაუზოგავ ბრძოლას ჰპირდება ქომაგს. „ჩვენ ჯგუფიდან გასვლის შანსი გვაქვს და მიზნის მისაღწევად უკან დახევას არ ვაპირებთ. ალბანეთი ბოლო წუთამდე თავზეხალაღებით იბრძოლებს“ — თქვა გერმანელმა.

**პაატა ძმანტალიანი**

# ერთხელ ჩვენც ვიყიდეთ მსაჯი

## თავი მოიპატიოსნეს რუსებმა

## გაზაევის ნაკრები უპასუხო კითხვაა



ვალერი გაზაევი

### რუსეთი

ბაზელურმა 2:2-მა რუსებს დიდი თავსატეხი გაუჩინა. შვეიცარია — რუსეთის შაბათს გამართული მატჩის საფუძვლიანმა ანალიზმა ვერაფრით ვერ მოუტანა რუს მედიელებს პასუხი მთავარ კითხვაზე — აქვს თუ არა მათ ნაკრებს პორტუგალიაში მოხვედრის პერსპექტივა.

ცივ გონებაზე ჩვენი მეზობელი კოლეგები გაცილებით კორექტულები არიან, თუკი მატჩის მეორე დღეს რუსები უიღბლობაზე წუწუნებდნენ, დღეს აღიარებენ, გადავრჩით, ქულა რომ მოვიპოვეთო.

გაზაევმა სიტყვა შეასრულა. იგი დაგვპირდა, რომ თბილისური ფიასკო ბაზელში აღარ განმეორდებოდა, ამბობს „სოვეტსკი სპორტი“ და იქვე ირონიულად აღნიშნავს, რომ გაზაევი ყველაზე ამოუცნობი მწვრთნელია მსოფლიოში, რაკილა მისი ნაკრები თითოეულ მატჩში განსხვავებული შემადგენლობით და ტაქტიკით თამაშობს. ალბანეთთან სხვა ნაკრები გვყავდა, ქართველებთან — სხვა, შვეიცარიასთან მატჩამდეც არაერთხელ შეცვალა შემადგენლობა მწვრთნელმა. რას უნდა ველოდოთ დარჩენილ მატჩებში და რის ხარჯზე უნდა მოვიპოვოთ წარმატება? — პრობლემატურ კითხვაზე „სოვეტსკი სპორტს“ რეცეპტიც გაუმზადებია — არა აქვს მნიშვნელობა, ვის ათამაშებს გაზაევი, მთავარია, რუსეთის ნაკრებმა გულით, მონდომებით ითამაშოს. რუს მედიელთა აზრით, თურმე ეს აკლდა მათ გუნდს შვეიცარიასთან მატჩში, თორემ გამარჯვება უთუოდ „ორთავა არწივს“ დარჩებოდა.

„სოვეტსკი სპორტი“ არაფერს ამბობს იმ ნიუანსებზე, რამაც დამატებითი ფორა შესძინა რუსთა ნაკრებს „წმინდა იაკობზე“. იმ მატჩისეული ტენდენციური მსაჯობა ხომ აშკარა იყო, ესპანელმა არტურო იბანიესმა სისხლი გაუშრო მასპინძლებს და არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა რუსთა ქულაში. ამ მხრივ გაცილებით ობიექტურია „სპორტ ექსპრესი“: „ბაზელში ჩვენ გვქონდა ის, რაც კარგა ხანია არ გვქონია. ვერც ვიხსენებთ, ბოლოს როდის უსტვენიათ მსაჯებს ჩვენს სასარგებლოდ. იბანიესის შემხედვარე რუსი ჟურნალისტები ვხუმრობდით, მადლობა ღმერთს, ერთხელ ჩვენც შევძელით მსაჯის მოსყიდვაო“.

„სპორტ-ექსპრესმა“ შვეიცარია — რუსეთის მატჩამდე კომენტარი სთხოვა ექსნაკრებელ ყოფილ და მოქმედ ფეხბურთელებს. იგორ შალიმოვმა და ალექსანდრ პანოვმა საფუძვლიანად გაარჩიეს ბაზელური მატჩი და მთლიანობაში საერთო დასკვნა ჩამოაყალიბეს — ამ გუნდით გაზაევს დიდი ძალისხმევა დასჭირდება პორტუგალიაში მოსახვედრად.

— შვეიცარიას ჩვენთვის არასდროს მოუგია. ჩემი ფეხბურთელობის დროს, მათთან ფრე კატასტროფული შედეგი იქნებოდა, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა. შვეიცარია ის გუნდია, რომლის წაქცევა ნებისმიერი გრანდისთვის რთულია. არადა, ჩვენი მეტოქის წარმატება გარკვეულწილად ორგანიზებულ, ტაქტიკურად გამართულ ფეხბურთს უკავშირდება. სამწუხაროდ, ამ მხრივ გაზაევის გუნდი შაბათს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა მეტოქეს — თქვა შალიმოვმა.

კრიტიკული იყო ალექსანდრ პანოვიც:

— მე თავდამსხმელი ვარ და, ბუნებრივია, გამორჩევით ჩვენი ნაკრების შეტევის პოტენციალი მაინტერესებდა. ერთობ გაწბილებული დავრჩი. ის, რომ გადამწყვეტი გოლები მცველმა გაიტანა, ბევრ რამეზე მიუთითებს. გაზაევის ფორვარდები უღონოდ უტევდნენ. პოპოვიც და სემაკიც ჩაკარგულნი იყვნენ მცველთა შორის. თითქოს სიჩოვის გამოსვლამ ვითარება გამოაცოცხლა, მაგრამ ისიც მალე მოექცა ახოვან შვეიცარიელ მცველთა გავლენის ქვეშ. ასეთ სიტუაციაში მართებული იყო ზორბა, „მოჭიდავე“ ფორვარდის გამოყვანა. ასეთი კაცი ბულიკინი გახლდათ, მაგრამ გაზაევმა იგი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დასვა. დღემდე ვერაფრით ამიხსნია, თუ რატომ მიიღო მწვრთნელმა ასეთი გადაწყვეტილება. ბულიკინი მშვენიერ ფორმაშია და, სხვა შემტევთაგან განსხვავებით, გაცილებით მეტი სარგებლობის მოტანაც შეეძლო შვეიცარიელებთან მატჩში.



ბაზელში რუსთა თავდამსხმელთაგან ვერც დმიტრი სიჩოვმა ივარგა

„სპორტ-ექსპრესმა“ იმ 27 ფეხბურთელის შეფასებათა საშუალო მაჩვენებელი გამოთვალა, გაზაევს რომ უთამაშებია დღემდე ევრო 2004-ის შესარჩევ ეტაპზე. ამან ის შედეგი მოიტანა, რომ ყველაზე დაბალი მაჩვენებლები მცველებს აღმოაჩნდათ და სწორედ დაცვის გაძლიერებას ურჩევენ სამომავლოდ გაზაევს ჟურნალისტები.

სამწუხაროდ, ვალერი გეორგიევიჩს ზემოთ ნახსენები ორი რუსული გაზეთისთვის არ მიუცია ინტერვიუ. როგორც ამბობენ, გაზაევი არც სხვა გაზეთებს სწყალობს, ჯერჯერობით პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და რუსთა წინაშე „საანგარიშო მოხსენებით“ წარდგომას კვირის ბოლოს დაგეგმილი პრესკონფერენციით აპირებს.

**პაატა ძმანტალიანი**

# 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## II ჯგუფი

### დღეს: ლუქსემბურგი – დანია
### დღეს: ნორვეგია – რუმინეთი

# უპანიკოდ ერიკ ბაკე
## კვერდამაკვრელი ლუნდეკვამი



ერიკ ბაკე

**ჯგუფში** წყალი მაშინ აიმღვრა, ჯერ დანიამ შინ ბოსნიასთან რომ წააგო, მერე კი რუმინეთმა ბუქარესტში — დანიასთან. მცირე არეულობით ნორვეგიამ ისარგებლა და გასულ შაბათამდე ხუთეულს თავზე წამოაჯდა.

7 ივნისს ცხრილი ხელახლა გადაეწყო. რუმინეთმა ბოსნიას სძლია, დანიამ კი კოპენჰაგენში ნორვეგია წააქცია. ვითარება ისეთია, სამ გუნდს პირველ ადგილზე გასვლის მეტ-ნაკლებად კარგი შანსი აქვს. ოღონდ, აღმოსავლეთევროპელებს საპირველადგილოდ ვიკინგებთან შერკინება და ოფლის ღვრა მოუწევთ.

მორტენ ოლსენის ნაკრები მეტოქეებთან შედარებით თავს ლაღად გრძნობს. ნორვეგიელებთან ორივე მატჩი მოიგეს, რუმინეთი კი სტუმრად დამარცხებული ჰყავთ.

ნილს იოჰან სემბის შეგირდები, რომელთა ბურთაობასაც ებე სანდიმ პრიმიტიული უწოდა, დღეს რუმინელთა ძლევას აპირებენ.

„ლიდსის" ნორვეგიელი ლეგიონერი ერიკ ბაკე: „დანიელებთან მარცხი გულდასაწყვეტი იყო, რადგან ლიდერობა დავკარგეთ. წინ კიდევ სამი მატჩი გველის. შეცდომის უფლება აღარ გვაქვს. ახლა პანიკის დრო არ არის. სამიდან ორი შეხვედრა შინ უნდა გავმართოთ და ექვსი ქულა ჩავიჯიბოთ. შესარჩევი ტურნირის მანძილზე გუნდი შეიკრა და უკეთესად ავთამაშდით. შეტევები გაცილებით მრავალფეროვანი გახდა და ასეთი ფეხბურთით ალბათ პორტუგალიის საგზურსაც მოვიხელებთ".

ერიკ ბაკეს თანაგუნდელმა კლაუს ლუნდეკვამმა კვერი დაუკრა: „მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე იმიტომ ვერ მოვხვდით, რომ ტაქტიკა მოგვიძველდა. ყველა მეტოქემ დაწვრილებით შეგვისწავლა. ხანდახან ძალიან ადვილად გვჩაგრავდნენ. ახლა სათამაშო ყაიდა შევცვალეთ, რაც, ვფიქრობ, ევრო 2004-ისკენ გზას გაგვიხსნის".

რუმინელთა ნახევარდაცვას დღეს „ბეშიქთაშის" ლეგიონერი დანიელ პანჩუ დააკლდება. მან ბოსნიელებთან მეორე ყვითელი ბარათი აიკრა და დისკვალიფიცირებულია.

სხვათა შორის, წინა უქმეებზე ბოსნიასთან მატჩში ჰაჯისდროინდელი ნაკრების ერთ წევრსაც კი არ უთამაშია. ანგელ იორდანესკუს გუნდს გამოცდილება აკლია.

იოან განეამ თანაგუნდელები გააფრთხილა: „ნორვეგიელების კარგად აწყობილი ნაკრები საიმედო დაცვით გამოირჩევა. გოლის გატანა ძალიან გაგვიჭირდება. მცირეოდენი შანსიც კი უნდა გამოვიყენოთ".

ლუქსემბურგი, რომელსაც დანიამ შარშან შემოდგომაზე 2:0 მოუგო, მორტენ ოლსენს უმასპინძლებს. ეს ორი ძველი მეგობრის შეხვედრა იქნება. ლუქსემბურგელებს ლეგენდარული ალან სიმონსენი წვრთნის, რომელსაც ოლსენთან ერთად დანიის ნაკრებში უთამაშია.

იესპერ გრონკიაერს მცირე ტრავმა აწუხებდა, მაგრამ სადღეისოდ მოუშუშებენ.

სტუმართა კაპიტანმა რენე ჰენრიკსენსმა თქვა: „ბოსნიელებისგან მწარე გაკვეთილი მივიღეთ და სიფრთხილე გვმართებს. სამი ქულა აუცილებლად უნდა მივითვალოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, პორტუგალიაში არაფერი გვესაქმება".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დანია** | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| **ნორვეგია** | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| **რუმინეთი** | 5 | 3 | 0 | 2 | 14:6 | 9 |
| **ბოსნია** | 5 | 2 | 0 | 3 | 4:7 | 6 |
| **ლუქსემბურგი** | 4 | 0 | 0 | 4 | 0:13 | 0 |

## III ჯგუფი

### დღეს: ჩეხეთი – მოლდოვა
### დღეს: ავსტრია – ბელარუსი

# შოპი შოკში
## მივდივართ თუ ვდგევართ?

**ტირასპოლში** მოულოდნელი მარცხის შემდეგ ავსტრია ევრო 2004-ისკენ მიმავალი გზიდან გადაიჩეხა. ახლა პირველადგილოსნის ვინაობა ჰოლანდიასა და ჩეხეთს შორის უნდა გაირკვეს.

მოლდოვისგან გამწარებული ჰანს კრანკლი კბილებს ბელარუსებზე ილესავს, თან თანამემამულეთა დამშვიდებას ცდილობს: „წავაგეთ, მაგრამ ამისგან ტრაგედიას ნუ შევქმნით. წაგება სირცხვილი არაა, ის მხოლოდ საწყენია. უამრავი საგოლე მომენტის მიუხედავად, გოლი ვერ გავიტანეთ, მეტოქემ კი ერთი შანსი გამოიყენა. ახლა ბელარუსები უნდა დავამარცხოთ და მეორე ადგილისთვის ბოლომდე ვიბრძოლოთ".

მწვრთნელს სიტყვა ნახევარმცველმა მარკუს შოპმა შეაშველა: „უცნაურია, მაგრამ როგორც კი ერთ ნაბიჯს წინ გადავდგამთ, მომდევნო მატჩში ორით უკან ვიხევთ. ეს უიღბლობაა".

ბოლო 17 გასვლითი მატჩიდან ავსტრიელებმა ათი წააგეს და მარკუს შოპიც ამიტომ დაღონებულა. ამჯერად ისინი შინ, ინსბრუკში დაუხვდებიან მეტოქეს და სამი ქულის აცინცვლას შეეცდებიან. ბელარუსებს ალექსანდ ხაცკევიჩი და ვლადიმირ შუნეიკო დააკლდებათ.

საეჭვოა, რომ ავსტრიელებთან მოლდოველთა გამარჯვებამ ჩეხები ოდნავ მაინც შეაშინოს. მასპინძელთა მწვრთნელი კარელ ბრიუნკერი იან კოლერის გამოჯანმრთელებამ გაახარა. გიგანტმა ვარჯიში ოთხიოდ დღის წინ განაახლა და უკვე ფორმაშია. ფეხბურთელმა თქვა: „თავს შესანიშნავად ვგრძნობ და სათამაშოდ მზად ვარ".

დორტმუნდის „ბორუსიას" თავდამსხმელის ყოფნა დღეს კარელ ბრიუკნერის გუნდისთვის აუცილებელია, რადგან მასპინძლები დიდი ანგარიშით მოგებას გეგმავენ. შესაძლოა, ბურთების უკეთესმა სხვაობამ ბოლოს პირველი ადგილის ბედი გადაწყვიტოს.

შესარჩევ ტურნირში იან კოლერმა სამი გოლის გატანა უკვე მოასწრო, ნაკრებს კი მთლიანობაში 24 გოლით შეეწია.

კარელ ბრიუკნერის „თამადობით" ჩეხებს 14 მატჩი არ წაუგიათ და სერიის გაგრძელებას კვლავაც აპირებენ.



იან კოლერი

მოლდოველთა თავკაცი ვიქტორ პასულკო: „ავსტრიას ვაჯობეთ და გამარჯვება დავიმსახურეთ. ჩემი გუნდი ხელწამოსაკრავი ნამდვილად არაა. ჩეხებთან უმძიმესი ბრძოლა გველის, თუმცა არ შევუშინდებით".

მოლდოვას დისკვალიფიკაციამოხდილი ალექსანდრ კოვალენკო დაუბრუნდა, მაგრამ სერგეი კლეშჩენკო, იური დადუ და სერგეი მიტერიოვი დააკლდებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჰოლანდია** | 5 | 4 | 1 | 0 | 11:1 | 13 |
| **ჩეხეთი** | 4 | 3 | 1 | 0 | 9:1 | 10 |
| **ავსტრია** | 5 | 2 | 0 | 3 | 4:8 | 6 |
| **ბელარუსი** | 5 | 1 | 0 | 4 | 2:10 | 3 |
| **მოლდოვა** | 5 | 1 | 0 | 4 | 3:8 | 3 |

## IV ჯგუფი

### დღეს: ფარერები – გერმანია
### დღეს: ლიტვა – ისლანდია

# დაუკითხავად მონათლული
## მე ვიყო ჰენრიკ ლარსონი



მარკუს ოლბოკი

**ყველაზე** ჩახლართული ჯგუფია. ერთბაშად ოთხ გუნდს პირველ ადგილზე გასვლის თითქმის თანაბარი შანსი აქვს. სან მარინო მათთვის გარანტირებული ექვსი ქულის საბადოა.

პოლონეთს და შვედეთს კონკურენტებზე ერთი თამაშით ნაკლები აქვთ. ისინი დღეს სტოკჰოლმში შეერკინებიან და ფრის შემთხვევაში ცხრილის სათავეში, ალბათ, უნგრეთი მოექცევა, რომელსაც სან მარინოს ძლევა არ უნდა გაუჭირდეს. ასე რომ, ფრე სტოკჰოლმელი მეტოქეებისთვის უხეირო იქნება. აქედან გამომდინარე, საკმაოდ საინტერესო ბრძოლა გაიმართება და შვედები შინ სამი ქულის აღებას შეეცდებიან.

ჰენრიკ ლარსონმა ნაკრების მაისურაზე უარი თქვა. მის ნაცვლად „ასტონ ვილას" ფორვარდ მარკუს ოლბოკს უხმეს. მან სან მარინოსთან დუბლი კი შეასრულა, მაგრამ მატიას იონსონმა ოლბოკს ჰეთ თრიქით აჯობა. მიუხედავად ამისა, ჰენრიკ ლარსონის „მემკვიდრედ" სწორედ ასტონვილელს მიიჩნევენ.

„მე პასუხისმგებლობის არ მეშინია — თქვა ოლბოკმა — ჰოდა, ლარსონის შემცვლელად თუ მომნათლეს, კი, ბატონო, ასე იყოს. დასანანია, რომ უდიდესი მეგოლე ნაკრებს ვეღარ დაეხმარება. ლიდერის ადგილი თავისუფალია და მისი დაკავება ნებისმიერ ჩვენთაგანს შეუძლია."

შვედებმა შესარჩევი ტურნირი ცუდად დაიწყეს. ლატვიასთან და უნგრეთთან მხოლოდ ორი ქულა მოაგროვეს. მერე სან მარინოს გადაურბინეს და უნგრელებს სტუმრად სძლიეს, ამის შემდეგ მათი მდგომარეობა ოდნავ გამოსწორდა. დღეს პირველ ადგილზე გადასაბრძანებლად მოგება სწყურიათ.

„პოლონეთი ძლიერი მეტოქეა, მაგრამ უნდა მოვიგოთ" — დასძინა ოლბოკმა.

თავის მხრივ, მოტივაცია არც პოლონელებს აქვთ საძენი. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე ისინი იმიტომ ვერ მოხვდნენ, რომ 1999-ში სტოკჰოლმში სწორედ შვედებთან გადამწყვეტ მატჩში 0:2 დამარცხდნენ.

სტუმართა მწვრთნელი პაველ იანაში მეოცნებე არაა: „ჩვენ უკვე ბევრი ქულა დავკარგეთ. სტოკჰოლმში მოგება ძალიან ძნელი იქნება და ვფიქრობ, ფრე სავსებით დაგვაკმაყოფილებს, პირველი ადგილისთვის ვერა, მაგრამ მეორისთვის ბრძოლა ნამდვილად შეგვიძლია".

პოლონელთა მეკარე ირჟი დუდეკს მეტოქის ვინაობა არც აღელვებს: „მოწინააღმდეგეზე არ ვფიქრობთ. მხოლოდ საკუთარი ნააზრევის მოედანზე გადატანა და შესრულება გვჭირდება. კარგია, სტუმრად რომ ვთამაშობთ, რადგან ჩვენი ფორვარდები კონტრშეტევებზე უკეთ ირჯებიან".

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| **შოტლანდია** | 5 | 2 | 2 | 1 | 7:5 | 8 |
| **ლიტვა** | 5 | 2 | 1 | 2 | 4:6 | 7 |
| **ისლანდია** | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| **ფარერები** | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | 1 |

# VI ჯგუფი

## დღეს: ჩრდ. ირლანდია – ესპანეთი
## დღეს: საბერძნეთი – უკრაინა

# ბარახამ სამსს ახარა

საყოველთაო პროგნოზი იყო — მეექვსე ჯგუფში პირველადგილოსნის ვინაობა შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე გაცხადდებაო. რაღა თქმა უნდა, შესარჩევების დიდოსტატ ესპანეთს ყველა უპირობო ფავორიტობას უწინასწარმეტყველებდა. ესპანეთი დღესაც ლიდერია, ეგაა, მყარად ვერ დგას ჩვეულ პოზიციაზე. წინა ტურში პირინეელებს გვარიანი ალიყური აჭამა საბერძნეთმა. ოტო რეჰაგელის თავზეხელაღებულმა გიჟებმა სარაგოსაში ცირთხებივით მოიმწყვდიეს მასპინძლები და მეტად ჩახლართეს ჯგუფში ვითარება. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ ინაკი საესის გუნდი მოსაგებად ჩადის ბელფასტში. ჩრდილოეთ ირლანდია ლენინგრადის ბლოკადაგამოვლილივით ნაშიმშილებია. 14 საათია კუნძულელებს გოლი არ გაუტანიათ. სავჭვოა, ცხრამატჩიანი მშრალი სერია ესპანელებთან დაასვენონ მასპინძლებმა, მაგრამ მაინც იმედიანად არიან, დასაკარგი არაფერი გვაქვს და თავისუფლად ვითამაშებთო.

ესპანეთს კი წაბორძიკების უფლება არა აქვს. ბელფასტურ ჯახში ინაკი საესს რუბენ ბარახასი ეიმედება. ბარახას არყოფნა განსაკუთრებით იგრძნობოდა ბერძნებთან მატჩში, ცენტრმორღვეული მასპინძლები მაშინ ვერაფრით შეკრა კარლოს მარჩენამ. ბარახა სწორედ ამ ფეხბურთელის ნაცვლად ითამაშებს.

ინაკი საესს სხვა ორი ცვლილებაც განუზრახავს. ბელფასტში მარცხენა მცველის პოზიციაზე რაულ ბრავოს ნაცვლად ხუან ფრანი ითამაშებს. მარცხენა ფლანგზევე ნახევარმცველობას ხავი დე პედრო გასწევს ვისენტეს ნაცვლად. ესპანელთა საწუხარი ის არის, რომ კვლავაც მოისაკლისებენ ტრავმირებულ გუტის და ხაბი ალონსოს.

საბერძნეთი იმედით ელის უკრაინასთან მატჩს. ოტო რეჰაგელის გუნდს კარგი შანსი აქვს უშუალო კონკურენტის ძლევით პორტუგალიის გზა დაიახლოვოს. ბერძნებს სარაგოსაში გაძევებული სტელიოს ვენეტიდისი დააკლდებათ. მის ადგილს დაცვის მარცხენა ფლანგზე ტაკის ფისასი დაიჭერს. რეჰაგელი შემტევ ანგელოს ხარისტიასის ტრავმამ ანერვიულა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი ბერძნებთათვის სასიკეთოდ მოგვარდა — ხარისტიასი დღეს უკრაინასაც შეუტევს.

სტუმრები ლუჟნის და ვორობეის გარეშე ეწვივნენ საბერძნეთს. ამ ორმა სომხებთან დრამატულ მატჩში ყვითელ ბარათებს გამოჰკრა ხელი და მომავალ ტურამდე მოცდა მოუწევთ. ლეონიდ ბურიაკს ღლევანდელ მატჩში ანტონ ტიმოშჩუკის გამოყენება შეეძლება — ამ ნახევარმცველს დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა.

**ბაათა ძვანტალიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:3 | 10 |
| უკრაინა | 5 | 2 | 3 | 0 | 10:7 | 9 |
| საბერძნეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| სომხეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ჩრდ. ირლანდია | 4 | 0 | 1 | 3 | 0:6 | 1 |



ინაკი საესი შინ დაკარგულის ანაზღაურებას ბელფასტში ეცდება


**სამკურნალო გაერთიანება**

**„ლიგა“**

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- ნარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია** **ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15


# VII ჯგუფი

## დღეს: ინგლისი – სლოვაკეთი
## დღეს: თურქეთი – მაკედონია

# საშემოდგომო ქაბაბი
## ინგლისს შამფურს უმზადებენ





REUTERS

უეინ რუნის სვენ გორან ერიქსონი მაიკლ ოუენს შეუწყვილებს

**ჰალუკ ულუსოი** უკვე საშემოდგომოდ ემზადება. თურქეთი და ინგლისი ოქტომბერში ერთმანეთს სტამბოლში შეხვდებიან. მანამდე ქულები თუ არ დაკარგეს, პირველადგილოსანი ინგლისი სტამბოლს ორქულიანი უპირატესობით ეწვევა. ოსმალებს პირდაპირ ევრო 2004-ზე მხოლოდ მოგება გაიყვანს, ინგლისელებს კი ფრეც გაახარებს.

თურქთა მთავარსარდალი შენოლ გიუნეში ჯერ მაკედონიელთა დამარცხებას ეშურება: „მეტოქეს კარგად ვიცნობ. საკმაოდ ძლიერი გუნდია და აგრესიულად თამაშობს. მაკედონიელებმა ინგლისელები გაამწარეს და ჩვენც ფხიზლად უნდა ვიყოთ“.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი: „მთავარია, ჯერ მაკედონიას, მერე კი სტუმრად ლიხტენშტაინს ვძლიოთ. ეჭვიც კი არ მეპარება, ინგლისელებს სტამბოლში ვაჯობებთ. მათ ნაცვლად ბრაზილიაც რომ იყოს, გადამწყვეტ შეხვედრას მაინც მოვიგებთ“.

თურქეთის ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა სლოვაკთა დამარცხებისთვის 30 ათასი დოლარი უკვე მიითვისა. ახლა მაკედონიასთანაც თუ მოიგებენ, კიდევ 10-10 ათასს მიიღებენ.

შენოლ გიუნეში: „ჯგუფში მეორე ადგილი, ფაქტობრივად, განაღდებული გვაქვს, მაგრამ ეს არ მაკმაყოფილებს. სამივე დარჩენილი შეხვედრა უნდა მოვიგოთ და ინგლისს პლეი ოფი შევაჩეროთ“.

მასპინძლებს დისკვალიფიკაციის გამო ილდირაი ბაშთურქი და ოკან ბურუქი დააკლდებათ. მათ ნაცვლად იბრაჰიმ უზულმეზი და ტაიფუნ ქორქუთი ითამაშებენ.

მაკედონიელთა მწვრთნელმა ნიკოლა ლიევსკიმ ლიხტენშტაინთან მოგებული მატჩის შემდეგ ტაქტიკის შეცვლა გადაწყვიტა: „ვიცი, რომ თურქები მძლავრად შემოგვიტევენ, ამიტომ თამაშს კონტრშეტევებზე ავაგებ და მეტოქეს ხუთკაციან შუახაზს დავუპირისპირებ“.

ინგლისელები სლოვაკებს მიდლსბროში დაუხვდებიან. სლოვაკთა ფორვარდი სზილარდ ნემეტი სამი წლის წინ სწორედ „მიდლსბროში“ თამაშობდა და „რივერსაიდზე“ დღეს დროებით დაბრუნდება.

„მაიკლ ოუენი და უეინ რუნი ბრწყინვალე მოთამაშეები არიან. ჩვენს მცველებს გვარიანი ჯაფა დაადგებათ, მაგრამ არაფერს დავთმობთ. „რევერსაიდზე“ შესანიშნავი ატმოსფეროა. 35 ათასი გულშემატკივარის თანხლებით თამაში მართლაც ბევრი ჩვენგანისთვის სანატრელია“ — თქვა ნემეტმა.

ინგლისი, სავარაუდოდ, უენი რუნით და მაიკლ ოუენით შეუტევს. ცხადია, არ იქნება ხელმოტეხილი დევიდ ბექემი. ტრავმირებულნი არიან სოლ კემპბელი, რიო ფერდინანდი, ნიკი ბათი, გარი ნევილი და კირონ დაიერი.

სვენ გორან ერიკსონი დაცვის ცენტრში გარეტ საუთგეიტს და მეთიუ აპსონს გაამწესებს. საუთგეიტი თავად „მიდლსბროს“ მოთამაშეა და ფანებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს: „ორი წელიწადი გავატარე აქ და არ მახსოვს, გულშემატკივრები ცუდად მოქცეულიყვნენ. ვიმედოვნებ, ამჯერადაც არაფერს დააშავებენ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| თურქეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:3 | 12 |
| ინგლისი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 10 |
| სლოვაკეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 7:6 | 6 |
| მაკედონია | 5 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 |
| ლიხტენშტაინი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:15 | 1 |

# IX ჯგუფი

# ფინელები გახსნილი ხალხია

## დღეს: ფინეთი – იტალია
## დღეს: აზერბაიჯანი – სერბეთი

ფინელებს იტალიელებთან სათამაშოდ ყველა წამყვანი ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ, მათ შორის, ისეთი განთქმულები, როგორებიცაა სემი ჰიიპია, იარი ლიტმანენი და მიკაელ ფორსელი რომ არიან.

მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ ფინელები გახსნილ ფეხბურთს ითამაშებენ და შეუტევენ, რადგან ფრე — წაგებაზე ალარაფერს ვამბობთ — მათ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა დატოვებს. იქაური გაზეთების თქმით მასპინძელთა ყველაზე სერიოზული პრობლემა ფრანჩესკო ტოტის გაუვნებლება იქნება.

„პირველ შეხვედრაში, პალერმოში, მას სარბენად დიდი სივრცეები დავუთმეთ. ეს აღარ უნდა განმეორდეს“ — განაცხადა ჰიიპიამ.

ტოტისთან ერთად ფინელებისთვის უსიამოვნებების შექმნას ალესანდრო დელ პიეროც შეეცდება. ეს წყვილი შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის, კერძოდ კი კორეასთან წაგებული, სკანდალური მატჩის შემდეგ არ გამოჩენილა მოედანზე.

იტალიელთა ამოცანა გამარჯვებაა. ისინი ჯგუფში მეორე ადგილზე არიან და ლიდერს, უელსის ნაკრებს ხუთი ქულით ჩამორჩებიან.

„სკუადრა აძურას“ მარჯვენა ფრთაზე სტეფანო ფიორე იმოქმედებს, ხოლო სიმონე პეროტა და კრისტიანო ძანეტი ნახევარდაცვაშივე თავდაცვაზე იფიქრებენ.

რაც შეეხება გაიტალიელებულ არგენტინელს, მაურო კამორანეზის, მან ბოლოწამს გაიჭიმა კუნთი, ასე რომ, ვერ ითამაშებს.

„სამწუხაროა, მისგან საუკეთესო თამაშის მოლოდინში ვიყავით და რომ დაშავდა, გამოსაჯანმრთელებლად ყველა ღონე ვიხმარეთ, მაგრამ ჩვენი მოწადინება საკმარისი არ გამოდგა. კამორანეზის ფინელებთან თამაში გამოირიცხა“ — ბრძანა იტალიის ნაკრების თავკაცმა ჯოვანი ტრაპატონიმ.

**პაპუნა ძედია**



REUTERS

ალესანდრო ნესტა და იტალიელები ჰელსინკში მოსაგებად ჩავიდნენ

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10:1 | 12 |
| იტალია | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 7 |
| ფინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:6 | 6 |
| სერბეთი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| აზერბაიჯანი | 5 | 0 | 1 | 4 | 2:13 | 1 |

# დევიდ ბექემის დახლართული ამბავი

## სილვიო ბერლუსკონიმ არიელ შარონთან მანჩესტერელის ტრანსფერზე ილაპარაკა



*დევიდ ბექემის გამო იმხელა ამბავია ატეხილი, ხმაურითა და დაძაბულობით ლამისაა აშშ-ერაყის ამასწინანდელ ომს გადაასწროს. ასეთია საფეხბურთო ბიზნესი — ზაფხულის სამ ცხელ თვეს არავინ დაგვიტოვებს სხვა თემებზე ფიქრისთვის. სატრანსფერო აჟიოტაჟით ძლიერნი ამა ქვეყნისანი ევროპელ ქომაგს ისეთ კალეიდოსკოპს უწყობენ, რომ მავანს, შესაძლოა, კითხვაც გაუჩნდეს: რა უნდა გააკეთოს დევიდ ბექემმა მომავალ სეზონში მოედანზე ისეთი, რომ დღევანდელი აჟიოტაჟი გაამართლოს? მაგრამ, საქმეც ისაა, რომ აჟიოტაჟს აყოლილ ადამიანთა უმეტესობას ეს კითხვა არ დაებადება და თუ საბოლოოდ ინგლისელი ნახევარმცველი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ წავა, მისი ახალი კლუბი ბექემის მაისურთა თუ სხვა ატრიბუტიკის გაყიდვითა და კიდევ მრავალი ხერხით უთუოდ ძლიერ მოითბობს ხელს.*

საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ბექემი მანჩესტერიდან უნდა წავიდეს — ამოდენა ამბავი შეუძლებელია ტყუილად ამტყდარიყო. ოღონდ, სანამ მისი ყიდვით დაინტერესებულ კლუბებზე და მათ ნაბიჯებზე გეტყოდეთ რამეს, თავად ფეხბურთელის სიტყვებს გავეცნოთ. შეგახსენებთ ვარსკვლავი და მისი არანაკლებ ვარსკვლავი მეუღლე, ვიქტორია ადამსი, არდადეგებს ნიუ-იორკში ატარებენ და კომენტარიც ამერიკული გაზეთის „ლოს ანჯელეს თაიმსის“ ჟურნალისტმა სთხოვა.

„არასდროს მითქვამს, რომ კარიერის ბოლომდე მანჩესტერში დავრჩები და სხვა გუნდში არ გადავალ — თქვა ბექემმა — ნებისმიერ დიდ გუნდს სჭირდება ცვლილებები. ერთ ჯილდოს მოიგებ თუ სამს, გუნდის გაძლიერება და გადახალისებაა საჭირო. ამასთან, შევჩვიე, რომ ჩემს შესახებ მუდმივად ჭორაობენ. დაახლოებით ერთი თვის წინ ამბობდნენ, რომ „რეალში“ გადავდივარ, ახლა „ბარსელონაზე“ იმეორებენ იმავეს. დღეს მე „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელი ვარ და კონტრაქტით ამ კლუბთან, მგონი კიდევ ორი თუ სამი წლით გახლავართ შეკრული. ასე და ამგვარად, სანამ „მანჩესტერს“ ვჭირდები, დავრჩები. ხშირად ლაპარაკობენ იმაზეც, რომ ჩემსა და სერ ალექს ფერგიუსონს შორის შავმა კატამ გაირბინა, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, ვაცხადებ, რომ მან ჩემს ცხოვრებაში მამის მსგავსი როლი ითამაშა. იგი რომ არა, არც ასეთი მოთამაშე ვიქნებოდი და არ არც ასეთი პიროვნება. იგი ჯერ კიდევ 18 წლისას მენდო და ძირითად შემადგენლობაში მათამაშა“.

ბექემის ნათქვამში ყველაზე მეტად ყურს ის ნაწილი ხვდება, სადაც იგი ამბობს, რომ „მანჩესტერთან“ მგონი (!) კიდევ ორი თუ სამი წლით არის შეკრული. თუმცა ამას თავი დავანებოთ და დევიდის ნამდვილ მამას, ტედს მოვუსმინოთ:

„მრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი უბრალოდ აგდებენ გუნდიდან. ეს დაუჯერებელია, განა არ არიან ვალდებულნი ამდენი ჭორების პასუხად ოფიციალური განცხადება გააკეთონ? ფეხბურთი ხშირად უმოწყალოა“.

ალბათ, გასაგებია, რომ მისტერ ტედ ბექემი სიტყვაში „ისინი“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ხელმძღვანელებს გულისხმობს.

მაშ ასე, „რეალი“ თუ „ბარსელონა“? ჩვენი აზრით „მილანი“!

თუმცა ჯერ „ბარსელონას“ ამბავი ვთქვათ, ოღონდ მოკლედ, რადგან ბექემ-„ბარსელონას“ სატრანსფერო რიარიაზე წვრილად დღევანდელი „სარბიელის“ მერვე-მეცხრე გვერდებზე წაიკითხავთ. აქ კი ვთქვათ, რომ კატალონიური კლუბი, მოგეხსენებათ, სულ მალე პრეზიდენტს ირჩევს. ასე რომ, ლოზუნგი — „მომეცით ხმა და გიყიდით ბექემს“ — სტილითა და შინაარსით ზუსტად საარჩევნოა. ეს ლოზუნგი ყველაზე ფართოდ პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა ხუან ლაპორტამ გაშალა.

ერთი კი ფაქტია: „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე ბექემის ფასი ძალიან იქნება დამოკიდებული, ანუ სიტყვით, საეჭვოა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ფეხბურთელი ამ არჩევნების დასრულებამდე გაყიდოს. თუ ლაპორტა გაიმარჯვებს, მატყუარაა თუ არა, ბექემი გაძვირდება, ხოლო თუ დამარცხდება — გაიაფდება.

მაგრამ, ვისთვის გაძვირდება ან გაიაფდება? ამბობენ „რეალისა“ და „მილანისთვისო“. „რეალზე“ ახალი არაფერია, აი, „მილანი“ კი...

ამ დღეებში იტალიის პრემიერ მინისტრი სილვიო ბერლუსკონი, რომელიც იმავდროულად „მილანის“ პრეზიდენტიცაა, ისრაელში გახლდათ, ისრაელის პრემიერ მინისტრ არიელ შარონთან შესახვედრად და ორი ქვეყნის ლიდერმა, ბუნებრივია, პრესკონფერენცია გამართეს. და იქაც კი, ორი პოლიტიკოსის პრეს-კონფერენციაზე, ჟურნალისტებმა ვერ მოითმინეს ბერლუსკონისთვის ბექემის შესახებ რომ არ ეკითხათ, პრემიერმა რთულად უპასუხა:

„ფულის დახარჯვის ბევრი უფრო ხელსაყრელი გზა არსებობს, ვიდრე მისტერ ბექემის მრავალი მსხვერპლის ხარჯად დაქირავებაა“.

რას ნიშნავდა ეს პასუხი? აქ ალბათ, იმ დიდი კონტრაქტების ამბავი იგულისხმება, რომლებიც დევიდ ბექემს სპონსორ ფირმებთან აქვს გაფორმებული და რომელთა წარმატებისთვის მისი „მანჩესტერში“ დარჩენა გახლავთ უპრიანი, მაგრამ, მეორე მხრივ, ცნობილია, რომ სილვიო ბერლუსკონი ფეხბურთელის ხელში ჩასაგდებად მოლაპარაკებებს მის ცოლთანაც აწარმოებს და მას, „პოშ“ ვიქტორია ადამსს, თავის კომერციულ ტელეარხზე სამწლიან, მრავალმილიონიან კონტრაქტს სთავაზობს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანიმ სატრანსფერო სეზონის გახსნის წინ თავის უპირველეს და უმთავრეს ამოცანად სწორედ დევიდ ბექემის ყიდვა გამოაცხადა.

ოღონდ... ჭორს იმის შესახებ, რომ „მილანი“ ბექემში ანდრეი შევჩენკოს გაცვლის, გალიანიმ სერიოზული ბრაზით მოიგერია:

„შევჩენკო არ იყიდება! არ მესმის ვის და რად სჭირდება ასეთი საშინელი ტყუილების მოგონება. შევჩენკო არასდროს ყოფილა და არც ოდესმე გახდება სატრანსფერო მოლაპარაკებათა ობიექტი. ის ხელშეუხებელია“.

და ბოლოს გავიხსენოთ „ინტერი“, რომელსაც ასევე ასახელებდნენ ინგლისელი ნახევარმცველის შესაძლო მყიდველად.

„ბექემი დიდი მოთამაშეა და მისი დონის ფეხბურთელებისადმი ინტერესი ყოველთვის გვექნება, მაგრამ არსებობს იოლი და არსებობს რთული სატრანსფერო საქმეები. ბექემისა მეტისმეტად ჩახლართულია“ — ბრძანა „ინტერის“ მილიონერმა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ.

**პაატა ძიძია**

# ფრანჩესკო, შენ გყავს პრეზიდენტი!

## ტოტის მილანი წამოცდა

**სატრანსფერო** საგიჟეთი „რომას“ ლიდერს ფრანჩესკო ტოტის იმიტომ შეხო, რომ კოვერჩანოში, იტალიის ნაკრების საწვრთნელ ცენტრში, ჟურნალისტებს უცნაური სიტყვები უთხრა:

„თუ „რომა“ მომავალშიც ცხრილის შუაში აპირებს დარჩენას, მე წავალ. ძალიან ბევრი კლუბი მთხოვს მათთან გადასვლას“.

ამ სიტყვებისთვის ტოტის ისიც დაუმატებია, რომ მისმა გუნდმა აუცილებლად უნდა იყიდოს სამი-ოთხი წამყვანი ფეხბურთელი, თორემ მართლაც ცხრილის შუაში დარჩება, ხოლო მისთვის ყველაზე სასურველი კლუბი „მილანია“.

„თოთხმეტი წლისა რომ ვიყავი, „მილანმა“ კინაღამ მიყიდა. პირველად, მაშინ მქონდა შანსი ჩემი პრეზიდენტი ბერლუსკონი ყოფილიყო და ეს შანსი ახლა, შესაძლოა მეორედ მომეცეს“.

შემდეგ: „რომაულ კლუბს შეუძლია დიდი გამარჯვების მოპოვება და მე მას მედროშეობას შევპირდი, მაგრამ თუ ცვლილებები არ მოხდება, ყოველგვარ ვალდებულებას მოვიხსნი“.



რას ნიშნავდა ეს განცხადება? ნუთუ დასაშვებია, რომ ტოტის გულახდილობის ჭია შეუჩნდა და ყოველგვარ გეგმის გარეშე წამოიწყო ასეთ თემებზე საჯარო საუბარი?

ძნელი სათქმელია, თუმცა ის ფაქტია, რომ ფეხბურთელის ნათქვამმა „რომას“ შტაბში დიდი გაღიზიანება გამოიწვია.

„ბერლუსკონი დიახაც ტოტის პრეზიდენტია, რადგან ტოტი იტალიის მოქალაქე გახლავთ, ის კი პრემიერი, სხვა მხრივ კი ასეთი რამ არ მოხდება“ — განრისხდა „რომას“ დირექტორი ფრანკო ბალდინი.

თავად კლუბის პრეზიდენტმა, ფრანკო სენსიმ კი ასე ბრძანა:

„ტოტი არ იყიდება. მას 2006 წლამდე კონტრაქტზე აქვს მოწერილი ხელი და სანამ მე ამ კლუბის პრეზიდენტი გახლავართ, აქედან ვერსად წავა. მე თუ მკითხავთ, იგი ვალდებულია მთელი კარიერა „რომაში“ გაატაროს, ხოლო თუ რაიმეთი უკმაყოფილოა, პირდაპირ უნდა გვითხრას. სწორედ ეს მოვახსენე პირადი საუბრისას“.

კლუბის შეფთა გაღიზიანება სრულიად გასაგებია. თუნდაც ტოტის ეს სიტყვები წავიკითხოთ:

„რომაში“ სულ მსაჯების შეცდომებზე ვამახვილებდით ყურადღებას, ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ მოგების ძალა არ შეგვწევდა“.

ცხადია, ასეთი, თუნდაც სიმართლით, ფეხბურთელი უფროსობას გააღიზიანებდა, მით უფრო, რომ ამ გამონათქვამებს დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. რა არ ითქვა, მაგალითად ის, რომ ტოტის თაობაზე მოლაპარაკებებს თავად სილვიო ბერლუსკონი აწარმოებს. აბა, „რომას“ პრეზიდენტი სენსი და „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი ხომ ერთმანეთს დასანახად ვერ იტანენ.

„თქვენ მე თავგზას მიბნევთ“ — ეს კი ციტატა გახლავთ ტოტის ბოლო პრესკონფერენციიდან. ასე მან ჟურნალისტებს მიმართა და, როგორც ამბობენ, ამასთან ძალიან ირონიულად იღიმოდა.

**პაატა ძიძია**

# ნაბიჯით წინ

## არგენტინა

### კლაუსურა

**მე-15 ტური: ინდეპენდიენტე — ნუევა ჩიკაგო 0:0; ტალიერესი — უნიონი 3:0; ოლდ ბოიზი — რასინგი 1:1; ველესი — ოლიმპო 0:1; ესტუდიანტესი — როსარიო 0:0; კოლონი — ხიმნასია 2:0; ჩაკარიტა — ლანუსი 0:0; რივერ პლეიტი — სან ლორენსო 4:0; ურაკანი — ბოკა ხუნიორსი 0:4; არსენალი — ბანფილდი 0:0**

„ბოკა ხუნიორსმა“ კვლავ დაიბრუნა აპერტურას ლიდერობა, რადგან ექტორ ბრაკამონტეს ჰეთ თრიქით 4:0 მოუგო „ურაკანს“ გასვლით მატჩში.

„ბოკას“ პირველ საფეხურზე მოხვედრა „ველეს სარსფილდის“ შოკისმომგვრელმა მარცხმა გამოიწვია. „ველესმა“ 0:1 წააგო „ოლიმპოსთან“.

„ესტუდიანტესი“ კვლავაც დაუმარცხებელია მას შემდეგ, რაც გუნდი კარლოს ბილარდომ ჩაიბარა. გუნდმა უგოლო ფრე ითამაშა „როსარიოსთან“, რაიც მისთვის ზედიზედ მეოთხე ფრე გამოდგა.

„რივერ პლეიტმა“ „ბოკას“ ტოლი არ დაუდო და ასევე 4:0 მოუგო „სან ლორენცოს“.

კლაუსურას ჩემპიონი „ინდეპენდიენტე“ კვლავაც ცხრილის ბოლო ხუთეულში ცოდვილობს და კვლავაც ელის თავის პირველ გამარჯვებას ახალი მწვრთნელის, ოსკარ რუჯერის ხელქვეით. „ინდეპენდიენტემ“ 0:0 დაამთავრა თამაში „ნუევა ჩიკაგოსთან“.

„ბოკა“ — „ურაკანს“ მივუბრუნდეთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ „ბოკელებს“ არ ჰყავდათ ტრავმირებული თავდამსხმელები გილერმო ბაროს შელოტო და კარლოს ტევესი. სამაგიეროდ, ტრავმის შემდეგ პირველად თამაშობდა ბრაკამონტე, რომელმაც ჯერ პირველ ტაიმში გაიტანა, მეორე ტაიმის რვაწუთიან მონაკვეთში კი დუბლიც შეასრულა. მეოთხე გოლი გუსტავო პინტოს ანგარიშზეა.

„ბოკა“ 35 ქულით პირველია, მას თითო ქულით ჩამორჩებიან „რივერი“ და „ველესი“, აპერტურას დასრულებამდე კი ოთხი ტური რჩება.

### ონორიო ბუსტოს დომეძი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 15 | 11 | 2 | 2 | 28:10 | 35 |
| რივერ პლეიტი | 15 | 10 | 4 | 1 | 33:12 | 34 |
| ველესი | 15 | 11 | 1 | 3 | 24:8 | 34 |
| როსარიო | 15 | 7 | 6 | 2 | 26:16 | 27 |
| ოლიმპო | 15 | 7 | 3 | 5 | 20:15 | 24 |
| ნუევა ჩიკაგო | 15 | 6 | 5 | 4 | 25:21 | 23 |
| ლანუსი | 15 | 6 | 3 | 6 | 20:22 | 21 |
| რასინგი | 15 | 5 | 5 | 5 | 18:17 | 20 |
| კოლონი | 15 | 4 | 7 | 4 | 14:13 | 19 |
| ხიმნასია | 15 | 5 | 4 | 6 | 18:23 | 19 |
| სან ლორენსო | 15 | 5 | 4 | 6 | 18:25 | 19 |
| ესტუდიანტესი | 15 | 4 | 6 | 5 | 16:17 | 18 |
| ოლდ ბოიზი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:22 | 18 |
| არსენალი | 15 | 3 | 8 | 4 | 8:9 | 17 |
| უნიონი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:19 | 17 |
| ტალიერესი | 15 | 4 | 4 | 7 | 17:21 | 16 |
| ინდეპენდიენტე | 15 | 3 | 6 | 6 | 11:20 | 15 |
| ბანფილდი | 15 | 3 | 4 | 8 | 13:20 | 13 |
| ჩაკარიტა | 15 | 2 | 4 | 9 | 8:18 | 10 |
| ურაკანი | 15 | 1 | 3 | 11 | 11:36 | 6 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაპირებების აღლუმი

## 5 დღე ახალ ბარსელონამდე

*„ბარსელონაში" ვადამდელი არჩევნებია. ვადამდელი არჩევნები ნიშნავს, რომ კლუბში ყველაფერი წესრიგში არ არის. მეტიც, ყველაფერი ძალიან ცუდადაა. ვადამდელი არჩევნები ამიტომაც არის ორმაგად მნიშვნელოვანი. შესაბამისად, იზრდება წინასაარჩევნო დაპირებათა რაოდენობა. დაპირდი და შეუსრულე, ან თუ გინდა, ნუ შეუსრულებ, მთავარია, რომ პრეზიდენტის სავარძელში ღრმად ჩაეფლო.*





ლუის ბასატი და ხუან ლაპორტა

## როგორია თქვენი აზრი?

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, წინა კვირას, კატალონიურმა გაზეთმა „სპორტმა" მესამედ მოაწყო საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა. შედეგები სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა: ახალმა რეალობამ თავდაყირა დააყენა წინასაარჩევნო პანორამა, რაც იმას ნიშნავს, რომ ლუის ბასატი უპირობო ფავორიტი აღარ არის.

წინა გამოკითხვისას ბასატს მხარი კლუბის წევრთა 39.5 პროცენტმა დაუჭირა. ახლა მას მხოლოდ 26.6 პროცენტი ანიჭებს უპირატესობას. წინა გამოკითხვითაც და ახლაც, მეორე ადგილზე ხუან ლაპორტა იყო, მაგრამ დახეთ: ადრე მას 13.5-პროცენტიანი მხარდაჭერა ჰქონდა, ახლა კი ეს რიცხვი 23.9 პროცენტამდე გაიზარდა. ანუ: ადრე თანაფარდობა იყო 39.5 — 13.5 (სხვაობა მთელი 26 პროცენტი), ხოლო ახლა თანაფარდობა 26.6 — 23.9-სთან გახლავთ (სხვაობა სულ რაღაც 2.7 პროცენტია).

სხვა კანდიდატების პროცენტებში მნიშვნელოვანი ცვლილება არ არის, მათი მხარდამჭერთა რაოდენობა ისე უმნიშვნელოდ გაიზარდა ან შემცირდა, სათქმელადაც არ ღირს. უბრალოდ ფაქტს დავჯერდეთ: დანარჩენი ოთხი კანდიდატის საერთო მხარდაჭერა 15.7 პროცენტია. შესაბამისად, ისინი არჩევნების შედეგებზე იოტისოდენა გავლენასაც ვერ მოახდენენ.

შედეგებზე გავლენას ვერ მოახდენენ ვერც ისინი, ვინც საერთოდ არ აპირებს არჩევნებზე მისვლას (2.8 პროცენტი) და ვერც ისინი, ვისაც ზოგადად კი სურთ საარჩევნო ყუთებთან მისვლა, მაგრამ თვლიან, რომ ექვსივე კანდიდატი უვარგისია (2 პროცენტი).

სამაგიეროდ, რაკი ორ ფავორიტს შორის განსხვავება მინიმალურია, გადამწყვეტი ალბათ იმ ამომრჩეველთა ხმები გახდება, რომლებსაც გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

ისინი დღეისთვის ყველაზე მეტნი არიან — ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 29 პროცენტი. ჰოდა, ცხადია, რომ კანდიდატთა მთელი წინასაარჩევნო პროპაგანდა სწორედ ამ 29 პროცენტის გადაბირებაზეა მიმართული.



## სიტყვის ფასი ბევრი ფულია

მაშინ, როცა კატალონიური გაზეთები აჭრელებულია პრეზიდენტობის კანდიდატთა დაპირებით, კივუს, რუშთუს, ბექემს, ვან ნისტელროის, მაკაის და ათას სხვა ფეხბურთელს ვიყიდითო, პრეზიდენტობის მთავარი მაძიებელი ლუის ბასატი ამბობს: „ამგვარი დაპირებები ჩვეულებრივი წინასაარჩევნო ხრიკებია. მაგათ ჰგონიათ, ბექემს და მისთანებს თუ დაპირდებიან, ხალხი ანკესზე წამოეგება და ხმას მისცემენ. და მხოლოდ მე ვასრულებ იმას, რასაც ვპირდები. განა მე არ მყავს სასურველი ფეხბურთელები შერჩეული? ცხადია, მყავს, მაგრამ იმდენი პასუხისმგებლობა მყოფნის, საჯაროდ არ გამოვაცხადო. ეს „ბარსელონასთვის" საზიანო იქნება. რატომ? წარმოიდგინეთ, რომ ხალხს დავპირდი, ამა და ამ ფეხბურთელს ვიყიდი. პრეზიდენტი რომ გავხდები, ცხადია, დაპირება უნდა შევასრულო. მაგრამ კლუბი, რომელშიც ჩემი დაპირებული ფეხბურთელი თამაშობს, ორჯერ მეტ ფულს მომთხოვს, ვიდრე ეს ფეხბურთელი რეალურად ღირს. მათ ხომ ეცოდინებათ, რომ პირობის შესრულების სანაცვლოდ იძულებული გავხდები, ნებისმიერი თანხა გავიღო. ჰოდა, გეკითხებით, წინდაუხედავი განცხადებების საფასურად ღირს „ბარსას" ისედაც ნაკლული სალაროს სულ მთლად გაპარტახება?

შემდეგ ბასატმა ძალიან საინტერესო რამ თქვა: „რამდენიმე დღის წინ დევიდ ბექემის წარმომადგენელმა დამირეკა და თავად შემომთავაზა ბექემის „ბარსაში" გადაყვანა. მე ვუპასუხე, არჩევნების მერე დაგელაპარაკებით-მეთქი. ამით ფეხბურთელის ფასი დავაგდე. ამის მერე, იმ კაცმა ხუან ლაპორტას დაურეკა იგივე წინადადებით — პირველად მე იმიტომ შემეხმიანა, რომ იცოდა, გამარჯვების მეტი შანსი მაქვს — ჰოდა, ლაპორტამაც ცდუნებას ვერ გაუძლო და მოლაპარაკებაზე წავიდა. იგრძნობოდა, რომ ძალიან სურდა ბექემის ყიდვა, რითაც ფასი ასწია."



ხუან ლაპორტა „ბარსელონას" კარს რუშთუს ჩააბარებს

## უკეთესი რა უნდა იყოს

მართალია, ლუის ბასატი ამბობს, წინასწარ არც ერთ შესაძენ ფეხბურთელზე არ ვილაპარაკებო, მაგრამ მისმა სპორტულმა დირექტორმა ხოსეპ გვარდიოლამ ერთი სახელი მაინც გაამხილა — ვალტერ სამუელი. მოგეხსენებათ, „რომას" არგენტინელი ცენტრალური მცველი და გვარდიოლა სულ ახლახან თანაგუნდელები იყვნენ. გვარდიოლა კი ამბობს, „ბარსას" დაცვის გაძლიერება ჩემი პრიორიტეტული მიზანიაო.

სამუელმა კი თქვა: „რასაც ჩემზე ბარსელონაში ამბობენ, სრულებითაც არ მიკვირს. მე და პეპი მეგობრები ვართ და ის ძალიან კარგად მიცნობს. თავის დროზე ბედნიერი ვიყავი მისი გაცნობით. მან არა მხოლოდ თავისი პროფესიონალიზმით, არამედ ადამიანური თვისებებითაც მომხიბლა".

ახლა ვალტერ სამუელი შკებულებაშია, რომელსაც სამშობლოში, როსარიოში ატარებს.

სამუელი „რომამ" 1999 წელს იყიდა „ბოკა ხუნიორსიდან", რაც 23 მილიონი დოლარი დაუჯდა, მიმდინარე კონტრაქტს კი ვადა სამი წლის მერე გასდის. სამუელი წელიწადში ორ მილიონ ევროს იღებს, მაგრამ უკმაყოფილოა, რადგან „რომა" ხელფასის კიდევ გაზრდას დაპირებია და სიტყვა გაუტეხავს.

და ისევ სამუელი: „თუ ვინმეს ჩემი გადაყვანა უნდა, წინააღმდეგი არ ვარ, დაუკავშირდნენ „რომას" და შეუთანხმდნენ. მერე კი პირად კონტრაქტზე დამელაპარაკონ. ახლახან გავიგე, ხორხე ვალდანოსაც ძალიან შევუქივარ. მესიამოვნა, როცა ორი დიდი კლუბი, „რეალი" და „ბარსელონა" გაქებენ და უნდიხართ, უკეთესი რა უნდა იყოს".




ვალტერ სამუელი

## წყალქვეშა დინებები

ის, ვინც ბასატის თქმით, ბექემის წარმომადგენლის ანკესზე წამოეგო, ანუ ხუან ლაპორტა, ბექემთან გარიგების პირობებს ამხელს. ირკვევა, რომ ლაპორტას ბანაკის სპორტული დირექტორი სანდრო როსელი „მანჩესტერის" თავმჯდომარეს, პიტერ კინიონს 30 მილიონ გირვანქაზე გარიგებია. ცხადია, იმ შემთხვევაში, ლაპორტა პრეზიდენტი თუ გახდა.

ლაპორტამ ისიც თქვა, შესათანხმებელი მხოლოდ ბექემის პირადი კონტრაქტის პირობებიღა დამრჩაო. ადრეც გვეწერა და შეგახსენებთ, რომ ბექემი ამჟამად ნიუ იორკშია, სადაც შვებულებას ატარებს. კატალონიური „სპორტის" ინფორმაციით კი, ფეხბურთელი აღფრთოვანებული ყოფილა ბარსელონაში ცხოვრებისა და „ბარსაში" თამაშის პერსპექტივით.

თითქოს ყველაფერი კარგადაა, მაგრამ აქ ორი წყალქვეშა დინებაა, რომელთა გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება.

ერთი ბექემის პირადი კონტრაქტია. საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისელს შეთანხმება აკავშირებს კომპანია „ვოდაფოუნთან", რომლის თანახმადაც, თუ ის „მანჩესტერიდან" წავა, კომპანიისათვის უზარმაზარი თანხა ექნება გადასახდელი სიტყვის გატეხვის სანაცვლოდ. ცხადია, ბექემი ამ ფულის საკუთარი ჯიბიდან გადახდას არ აპირებს და მის მყიდველ კლუბს შეაწერს. გამოდის, რომ თუ „ბარსამ" ბექემი იყიდა, „მანჩესტერისთვის" გადასახდელ 30 მილიონს ალბათ, ერთი ამდენიც უნდა დაამატოს, პლუს ბექემის ზღაპრული ხელფასი. საეჭვოა, „ბარსელონას" ამდენი ფული ჰქონდეს.

მეორე წყალქვეშა დინებას კი „რეალი" ჰქვია. მოგეხსენებათ, მადრიდელებს კარგა ხანია, თვალი აქვთ დადგმული ამ ფეხბურთელზე და სულაც არ სურთ, ის „ბარსაში" აღმოჩნდეს. ამას ადასტურებს ემილიო ბუტრაგენიოს გუშინწინდელი ნათქვამიც, „რეალი" ბექემის ხელში ჩასაგდებად ბრძოლას განაგრძობსო.

თუმცა კატალონიაში ამბობენ, „მანჩესტერი" ბექემს არაფრის დიდებით არ დაუთმობს „რეალსო". მიზეზი: ვარაუდობენ, რომ ეს გარიგება აზიურ ბაზარზე „იუნაიტედის" აქციებს დასცემს.

მოკლედ, ბექემთან დაკავშირებით გვარიანი გაუგებრობაა, სამაგიეროდ, ყველაფერი ნათელია თურქ მეკარე რუშთუსთან დაკავშირებით. ლაპორტამ განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტად აირჩევიან, რუშთუ ოთხი წლით „ბარსაში" გადავა, კონტრაქტის კიდევ გაგრძელების უფლებით.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ათი წელი „ფენერბაჰჩეს" მეკარე თურქეთის ნაკრების ძირითადი გოლკიპერია. ორჯერ ითამაშა ევროპის ჩემპიონატზე, ერთხელ მუნდიალზე. ორჯერ გახდა თავისი ქვეყნის ჩემპიონი.

„რუშთუ უმაღლესი კლასის, საიმედო მეკარეა — თქვა ლაპორტამ — მან სიმწიფის ეტაპს მიაღწია და მნიშვნელოვან მატჩებს თამაშის უდიდესი გამოცდილებაც აქვს. დარწმუნებული ვარ, მასში ფულის გადახდა სანანებლად არ გაგვიხდება". ფულის თაობაზე კი ლაპორტამ თქვა, ხელფასს ვგულისხმობ, თორემ თურქებთან კონტრაქტი უსრულდება და მუქთად გადმოვაო. თან, მცირე ხელფასზეც თანახმააო.

ფიქრობენ, რომ რუშთუს მისვლით ვიქტორ ვალდესის, ამ პერსპექტიული მეკარის პროფესიული ზრდა შეწყდება, ამაზე ლაპორტამ თქვა, „ბარსას" ორი მაღალი კლასის მეკარე სჭირდება და მეორე სწორედ ვალდესი იქნება, აი, ბონანოს და ენკეს მომავალზე კი თავს ვერ დავდებო.

# მაკაი ჯამაგირით მოხიბლეს

კი, ვამბობთ, რომ პრეზიდენტობისთვის რეალურად ორი კანდიდატი იბრძვის, თუმც დანარჩენების ხელაღებით მივიწყებაც არ უნდა იყოს სწორი.

ამ დანარჩენთაგან ორზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელთაგან ერთი ხოსეპ მარია მინგუელა გახლავთ. ის ამტკიცებს, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში „ბარსელონაში" როი მაკაის მიიყვანს, რაზეც „დეპორტივოსთან" წინასწარი შეთანხმება უკვე ჰქონია. ისიც ვთქვათ: მინგუელა მაკაიში 12 მილიონ ევროს იხდის.

მინგუელას პრეზიდენტობის შემთხვევაში კიდევ სამი ფეხბურთელის გადაბირება განუზრახავს, თუმცა მათ ვინაობას საიდუმლოდ ინახავს.

ისე, კაცმა რომ თქვას, მაკაის გადაბირება არც ისე ძნელია. საამსეზონო პრიმერადივიზიონის მთავარმეგოლე (28 ბურთი) „დეპორტივოში" უკმაყოფილოა, რაკი ძალიან პატარა ხელფასი აქვს. კლუბს კი ფინანსური პრობლემების გამო ჯამაგირის გაზრდა არ შეუძლია. ამის გამო იყო, რომ მაკაიმ უარი უთხრა ლაკორუნიელებს მიმდინარე კონტრაქტის ახლავე გაგრძელებაზე. მიმდინარე კონტრაქტი კი მას 2005 წლის ივნისში ეწურება.




როი მაკაის გადაბირება ხოსეპ მარია მინგუელას არ გაუჭირდება

# ვერ მოვგართმევით კივუ



აი, თუ პრეზიდენტი ხაიმე ლაურადო გახდა, „ბარსელონაში" მომდევნო სეზონიდან „აიაქსის" რუმინელი კაპიტანი კრისტიან კივუ ითამაშებს. ლაურადომ ოფიციალურად გამოაცხადა, ჰოლანდიელებთან ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, 11 მაისს მივაღწიე შეთანხმებას და ახლა მხოლოდ გაპრეზიდენტებასღა ველოდებიო. ლაურადომ მეტი დამაჯერებლობისთვის დოკუმენტიც ააფრიალა.

შეთანხმების თანახმად, კივუ „ბარსელონაში" ხუთ სეზონს გაატარებს, გარიგება კი 18 მილიონი ევრო დაჯდება.

კანდიდატს მწვრთნელობაზეც რამდენიმე კანდიდატი შეურჩევია და დასძინა, კივუს გადმობირება თითოეულმა მათგანმა მოიწონაო. ოღონდ, მწვრთნელობის კანდიდატები ვინ არიან, ლაურადო არ ამბობს.

ლაურადომ კივუს კუმანის შემცვლელი უწოდა და დასძინა, აგერ ნახავთ, ეს ბიჭი „ბარსაში" თუ არ გაიბრწყინებსო: „კივუ „ბარსელონას" ღერძი უნდა გახდეს. გუნდის დაცვა მის გარშემო უნდა ავაგოთ, როგორც ეს რონალდ კუმანის დროს იყო. კივუს შეტევის წამოწყებაც და გაძლოლაც შეუძლია. მას უზარმაზარი პოტენციალი აქვს".

ამის მერე კი პრეზიდენტობის კანდიდატმა წაიეშმაკა: რუმინელის ხელში ჩაგდება მადრიდის „რეალს" სურდა, მაგრამ ვერ მივართვით.

„კივუს რამდენიმე იტალიური კლუბი და „რეალი" ეპატიჟებოდნენ. ფეხბურთელმა იტალიაში წასვლის ვარიანტი მაშინვე უარყო, რადგან იქ ზედმეტად ჩაკეტილ ფეხბურთს თამაშობენ, მას კი გახსნილი, ლაღი ფეხბურთი მოსწონს, როგორც ჩვენთან, ესპანეთშია. „რეალში" კი იმიტომ არ მიდის, რომ ბავშვობიდან „ბარსელონას" ქომაგია".

რა გითხრათ, კივუს ტრფიალისა არაფერი ვიცით, ლაურადოს კი, ზემოთაც მოგახსენეთ, არჩევნების მოგების უმნიშვნელო შანსი აქვს. თუმცა ჯიუტი კაცი კი ყოფილა: „ეჭვი არ მეპარება, რომ პრეზიდენტი გავხდები" — ირწმუნება ის.



ხაიმე ლაურადო ბარსელონელებს კივუს დაპირდა

# საღლაბუცო ვარჯიში



რადომირ ანტიჩმა გუნდიც ავარჯიშა და თავადაც ივარჯიშა

შეხსენება არ სჭირდება იმ გარემოებას, რომ დღეის ჩათვლით ევროპაში სანაკრებო კვირეულია. ეს ამბავი კი პირდაპირ კავშირშია „ბარსელონასთან", ოღონდ წინასაარჩევნო კამპანიასთან რაიმე კავშირი არ აქვს. საქმე ამ უქმეებზე „ვალენსიასთან" უმნიშვნელოვანესი თამაშისთვის მზადებას ეხება.

წინა შაბათს სანაკრებო მატჩებისთვის „ბარსელონამ" ხუთი ჰოლანდიელი, ორი არგენტინელი და სამი ესპანელი დაითხოვა. ვინღა დარჩა? აი, ვინც დარჩა, მათ დანარჩენების არყოფნაში სპარინგ-მატჩი გამართეს „ბარსას" C გუნდთან. ჰო, კინაღამ დაგვავიწყდა, სანაკრებოდ წასულების გარდა „ბარსას" ლაზარეთშიც ჰყავს რამდენიმე კაცი.

მოკლედ, იმას მოგახსენებდით, რომ რადომირ ანტიჩმა გუნდი „ბარსა C"-ს გააჯიბრა, მაგრამ თერთმეტ ფეხბურთელს ძლივს მოუყარა თავი, ეგ კი არა, რამდენიმე ფეხბურთელის B და C გუნდებიდან დამატებაც დასჭირდა. მაგრამ დახეთ: 11 კაცი კი შეაგროვა, მაგრამ მათგან ორი მეკარე აღმოჩნდა, ჰოდა, ასე მოიქცა — კარში რობერტ ენკე ჩააყენა, რობერტო ბონანო კი განაპირა მცველად გაამწესა. საბოლოოდ, „ბარსამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ენკე, პეკე (B), ანდერსონი, კრისტენვილი, ბონანო, როჩემბაკი, ხერარდი, ფრანი (C), ლუის ენრიკე, სერანო (B), დანი.

გუნდში ვერ მოხვდნენ ხუან პაბლო სორინი, ფერნანდო ნავარო და ტიაგო მოტა, რომლებიც ტრავმებს იშუშებენ. თამაში 1:1 დასრულდა. თავიდან C გუნდი იგებდა და პატრიკ ანდერსონმა გაათანაბრა.

მეორე დღეს კი, „ლა მასიას" საწვრთნელ ბაზაზე თავად რადომირ ანტიჩმაც ითამაშა. ამჯერად ბურთაობა პატარა მოედანზე გაჩაღეს, გოლი კი ჰოკეის კარში უნდა გაეტანათ. რაკი პაწაწინა კარში მეკარეთა დაყენება თამაშს უაზროს გახდიდა, ენკემაც და ბონანომაც მოედნის ფეხბურთელობა გასწიეს. ანტიჩის გუნდში მენდიეტა, კრისტენვალი, ბონანო და გაბრი მოხვდნენ. ანტიჩის გუნდი დამარცხდა, თუმცა თავად მწვრთნელმა ფრიად იხალისა. ერთ ეპიზოდში, როცა ხერარდმა ის წააქცია, ხუმრობით ჩხუბიც კი დაიწყო. ვარჯიშს მოედნის კიდესთან მდგარი ანტიჩის შვილიშვილიც ადევნებდა თვალს და ბაბუას მსგავსად მანაც იმხიარულა.

პრეზიდენტობის კანდიდატებს კი სამხიარულოდ საქმე არ აქვთ. არჩევნებამდე 5 დღე დარჩა.



რობერტო ბონანოს (შუაში) მცველობა დააყისრეს

# ირურეტას ომი

*გალისიური „დეპორტივოს" მუდამ ემოციურ და დაუდგრომელ მწვრთნელს, ბასკ ხავიერ ირურეტას საფიქრალ-საზრუნავი არ აკლია. პრიმერადივიზიონის ლიდერთა რბოლაში მისი გუნდი ოდენ მესამეა და 15 ივნისს ბილბაოს „ატლეტიკთანაც" დიდი შერკინება ელის. „დეპორში" მისი ყოფნა-არყოფნის ამბავიც უახლოეს ხანში უნდა გაირკვეს. გთავაზობთ ხავიერ ირურეტას ინტერვიუს, რომელიც „მარკაში" დაიბეჭდა.*

**— „დეპორტივომ" მოიგო ესპანეთის სუპერთასი, გავიდა სამეფო თასის ნახევარფინალში და ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის უფლებაც მოიპოვა, როგორ შეაფასებდით ამ სეზონს?**

— პრიმერადივიზიონის დასრულებამდე ჯერ ორი შეხვედრაა დარჩენილი, რომელთა მოგებასაც აუცილებლად უნდა ვეცადოთ, რათა ქულათა მარაგი 75-მდე ავიდეს. გუნდმა რთული სეზონის განმავლობაში ღირსეულად იბრძოლა, რაც, ჩემი აზრით, მხოლოდ ქებას იმსახურებს.

**— ესე იგი, „დეპორის" შემართებით კმაყოფილი ხართ?**

— სავსებით. რაც დრო გადის, „დეპორტივო" მით უფრო ბრძოლისუნარიანი ხდება. არავის არ უნდა დაავიწყდეს, რომ ესპანეთის სუპერთასისთვის ბრძოლაში ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი „ვალენსია" 4:0 დავამარცხეთ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფიც ქულათა იმავე რაოდენობით დავასრულეთ, როგორც წლევანდელმა ფინალისტებმა — „მილანმა" და „იუვენტუსმა".

**— მომავალ სეზონში კვლავ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებთ?**

— დიახ, ლიგაში ჩვენი მორიგი გასვლა კლუბისთვის ძლიერ მნიშვნელოვანია. გულშემატკივარი ისე გვიჭერს მხარს, როგორც არასდროს.

**— წლევანდელი პრიმერადივიზიონი რითი არის აღსანიშნავი?**

— შევძელით ქულათა დიდი რაოდენობის მოპოვება, ვართ ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერთაგანი და გვყავს გუნდი, რომელიც წინა წლებზე უკეთ თამაშობს.

**— რა დააკლდა „დეპორტივოს" უფრო მეტი წარმატებების მისაღწევად?**

— ბედი. ტრავმებმა გაგვაწამა. გადამწყვეტ მომენტებში ცოტა უფრო ზუსტად რომ გვემოქმედა, კარგი იქნებოდა. რამდენიმე ისეთი ხარვეზიც შევნიშნე, რომელთა გამოსწორებასაც მუყაითი შრომა დასჭირდება.

**— ისურვებდით, რომ მადრიდის „რეალისნაირი" შემადგენლობა გყავდეთ?**

— მე „დეპორტივო" მყავს და მისი წევრებით ნამდვილად არა ვარ უკმაყოფილო. მიუხედავად ტრავმებისა, კარგი სეზონი ჩავატარეთ.

**— კონტრაქტის განახლების საქმე როგორ მიდის?**

— ჯერჯერობით არაფერია ცნობილი. დაველოდებით, მოვლენები როგორ განვითარდება. ამჟამად პრიმერადივიზიონის გარდა არაფერზე არ ვფიქრობ.

**— საბოლოოდ როდის გაირკვევა თქვენს კონტრაქტთან დაკავშირებული საკითხები?**

— 22 ივნისამდე აუცილებლად უნდა გადაწყდეს, ვრჩები „დეპორტივოში" თუ მივდივარ. 23-ში კი ოჯახთან ერთად დასასვენებლად გავემგზავრები.

**ლადო ხომერიკი**



*მეთოთხმეტე ეროვნულ ჩემპიონატში საქმე იქით მიდიოდა, რომ „ვიტ ჯორჯია", სულ მცირე, უეფას თასზე უნდა მოხვედრილიყო, თუმც ჯანი კარნევალის შეგირდებმა გადამწყვეტ თამაშებში მოისუსტეს და საბოლოოდ ოდენ მესამე ადგილს დასჯერდნენ. ამის მიუხედავად, „ვიტ ჯორჯია" მაინც ერთ-ერთ ყველაზე სიმპათიურ გუნდად ითვლება საქართველოს ჩემპიონატში. მისი ლიდერი და კაპიტანი კი 23 წლის ლაშა ნოზაძეა უცნაური მეტსახელით — „გიჟო".*

*გუშინ ლაშა ნოზაძე „სარბიელის" სტუმარი იყო. მას ან უკვე დასრულებულ ჩემპიონატსა და სამომავლო გეგმებზე ვესაუბრეთ*

# იტალიური საჩუქარი

## კარნევალი ნოზაძის ახალ მისამართს ეძებს

— **როგორი იყო „ვიტ ჯორჯიასთვის" მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატი?**

— მთლიანობაში ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, მაინც იმედები გაგვიცრუვდა. უეფას თასზე გასვლას ვგეგმავდით და ვერ მოვახერხეთ. არა უშავს, ცხოვრება გრძელდება და ყურების ჩამოყრა არ ღირს.

— **ალბათ, კლუბის ხელმძღვანელობაც უკმაყოფილოა...**

— რა თქმა უნდა. როცა გუნდი მიზანს ვერ აღწევს, ხელმძღვანელობა კმაყოფილი ვერ იქნება. მაგრამ, ჩემი აზრით, რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთოთ. სამწუხაროდ, არ გაგვიმართლა. იღბალიც რომ ოდნავ ჩვენს მხარეს ყოფილიყო, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა.

— **მეორე ეტაპზე ჩემპიონობასთანაც ახლოს იყავით...**

— ზუსტად ეგ არის გულდასაწყვეტი. ჩემპიონობის შანსიც გვქონდა და საბოლოოდ მესამე ადგილს დავჯერდით.

— **ახლა ინტერტოტო გელით. რას გეგმავთ?**

— ალბათ, ორი-სამი ეტაპის გავლა უნდა შევძლოთ. მერე აღარ ვიცი. იმასაც გააჩნია, როგორი გუნდები შეგვხვდება. ჩემი აზრით, უფრო რეალური ორი ეტაპის გადალახვაა.

— **უახლოეს მეტოქე „პაშინგზე" რას იტყვი?**

— როგორც გავიგე, გამოცდილი და კარგი გუნდია. რთული თამაშები გველის და იმედი მაქვს, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

— **ინტერტოტოს შარშანდელ გათამაშებაში საკმაოდ სუსტად გამოიყურებოდით, პირველივე ეტაპზე არცთუ ძლიერ ბელგიურ „ლოკერენთან" დამარცხდით...**

— შარშანდელთან შედარებით ახლა უკეთესი გუნდია „ვიტ ჯორჯია". ვფიქრობ, ახლა უფრო უკეთ ვითამაშებთ.

— **სეზონის ბოლოს ბევრი ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „ვიტ ჯორჯიას" რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებდა, მათ შორის შენც...**

— კონკრეტული ჯერ არაფერია. ჯანი კარნევალი იტალიაშია და რომ ჩამოვა, მერე მეცოდინება ყველაფერი.

— **კარნევალის იტალიაში ყოფნა ამ ტრანსფერებთანაც არის დაკავშირებული?**

— ის ახლა ოჯახთან ერთად ისვენებს, თუმც ალბათ ჩვენს ამბებსაც გაარკვევს, ამიტომაც ველოდებით მის ჩამოსვლას. მერე ვნახავთ, ვის რა ვარიანტი ექნება.

— **კი, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობა დათანხმდება რამდენიმე ფეხბურთელის ასე ერთდროულად გაშვებას?**

— არა, ბევრს ნაღდად ვერ შეელევიან. ალბათ, ორი-სამი ფეხბურთელის ტრანსფერზე იქნება საუბარი.

— **საფეხბურთო საქართველოში ყველა მეტსახელით გიცნობს. ვინ შეგარქვა „გიჟო"?**

— ბავშვობიდან მომდევს. „ვაკე 91"-ში თამაშისას თანაგუნდელმა ვალერი გაგუამ ერთ-ერთ ვარჯიშზე შემარქვა და მას შემდეგ ყველა „გიჟოს" მეძახის. ამ „გაუგებრობაში" ჩემი უმცროსი ძმაც მოყვა, მასაც „გიჟოს" ეძახიან.

— **„ვიტ ჯორჯიაში" უკვე რამდენიმე სეზონია თამაშობ. ვინ არის შენი საუკეთესო პარტნიორი მოედანზე?**

— ჩემთვის ყველა თანაგუნდელი საუკეთესოა, მაგრამ რადგან ნახევარდაცვაში ვთამაშობ, ამიტომ დავით დოლიძეს და დავით დილმელაშვილს გამოვარჩევ.

— **შენი აზრით, საქართველოს მეთოთხმეტე ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი...**

— ასე უცებ ამის თქმა ძნელია. რამდენიმე ფეხბურთელმა ძალიან კარგად წარმოაჩინა თავი, მაგრამ მე ასეთად მაინც თანაგუნდელი ლევან მელქაძე მიმაჩნია.

**ქახა შალამბერიძე**



ვიტელთა კაპიტანი ლაშა ნოზაძე მოედანზე გაჩერებული არავის ახსოვს

# ადამიას ჯანი ღალატობს

## ვეტერინარები ძველ ნაცნობს მოიკითხავენ

**მეთოთხმეტე** ჩემპიონატის პრიზიორებიდან „ვიტ ჯორჯია" პირველია, ვინც ახალი სეზონისთვის მზადებას ნაადრევად შეუდგა. ვიტელები 22 ივნისიდან ინტერტოტოს თასზე ითამაშებენ და იტალიელი ჯანი კარნევალიც ამიტომ აჩქარდა.

ვეტერინარებმა წვრთნა 7 ივნისს იპოდრომზე კარნევალის გარეშე დაიწყეს. სინიორ ჯანიმ კლუბის თავკაცებს მოკლევადიანი შვებულება გამოსთხოვა. იგი იტალიიდან 13 ივნისს დაბრუნდება.

სადღეისოდ „ვიტ ჯორჯიას" ძირითადის ორი მოთამაშე აკლია. მცველი ალექსანდრე ინწკირველი რევაზ არველაძის ახალგაზრდული გუნდის წევრია და ირლანდიაშია. ხოლო ფორვარდი გიორგი ადამია ჩემპიონატიდან გამოყოლილ ტრავმას იშუშებს. ადამიამ კოჭი „ტორპედოსთან" საშინაო თამაშში დაიშავა და თანაგუნდელებს ალბათ, პაშინგში ვერც შეეშველება. მოგვიანებით შეუერთდება.

ყველა სხვა ვიტელი სრულ მზადყოფნაშია, იპოდრომზე ფიზიკურ კონდიციებს იმაღლებენ და მწვრთნელის გამოჩენას ელიან.

ვეტერინარები ინტერტოტოზე პირველ თამაშს 22 ივნისს სტუმრად ჩაატარებენ. ავსტრიული „პაშინგი" ჩვენებურებს საკუთარ მოედანზე ვერ უმასპინძლებს. იქაურ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს და მასპინძლებიც თურმე პაშინგიდან ათი კილომეტრის დაშორებით, მეორელიგელი „შვანენშტადტის" სარბიელზე აპირებენ დახვედრას.

„შვანეშტადტი" კი ვიტელთა ძველი ნაცნობია. ვეტერინარები ავსტრიელებს შარშანდელ ანთალიურ შეკრებაზე გაეჯიბრნენ და 2:1 გაიმარჯვეს. ასე რომ, კარნევალის ბიჭები მთლად უცხო გარემოში როდი ითამაშებენ. საპასუხო თამაში თბილისში 28 ივნისს „ეროვნულზე" 6 საათზე დაიწყება. თუ ავსტრიიდან მოსულ ცნობას ვერწმუნებით, „პაშინგი", რომელსაც საინტერტოტოოდ მზადება ჯერაც არ დაუწყია, თბილისს თამაშის დღეს ჩამოფრინდება. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ავსტრიული კლუბები ინტერტოტოს გათამაშებას ძირითადად მოსამზადებელ ეტაპად იყენებენ, მაშინ „ვიტ ჯორჯიას" პირველი ეტაპის დაძლევა არ უნდა გაუძნელდეს.

რაც შეეხება ვეტერინართა ახალწვეულებს, შემადგენლობაში სიახლე ნაკლებად მოსალოდნელია და კარნევალიც უკვე ნაცადი გუნდით აპირებს ფონს გასვლას.

**მამუკა ქვანტალიანი**

# გახსოვთ თმაშევერცხლილი სიჭი?

*თენგიზ სიჭინავა შარშანწინ აიბარგა თბილისის „დინამოდან", როცა გუნდს პატრონი არ ჰყავდა და რუსეთის პირველი ლიგის „კრისტალში" გადაბარგდა. სიჭინავა „დინამოში" იოჰან ბოსკამპის ხანმოკლე ეპოქამდე მივიდა და ჰოლანდიელ სპეციალისტს ისე მოაწონა თავი, რომ მის გაწვრთნილ საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია — სულ კი სიჭინავას 10 „კეპი" აქვს მოხვეჭილი.*

*30 წლის სიჭინავა ახლაც სმოლენსკის „კრისტალშია", მაგრამ მალე სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. მას სმოლენსკში დავუკავშირდით*



„კრისტალის" გასაჭირმა თენგიზ სიჭინავა (მარცხნივ) საქართველოსკენ გამოახედა

— **„დინამოდან" წასვლის მიზეზი კლუბში შექმნილი გაურკვევლობა იყო?**

— გაურკვევლობა და მაშინ არც პირობები იყო.

— **ახლა ალბათ ნანობ ამ გადაწყვეტილებას...**

— ახლა კი ვნანობ, მაგრამ რა გაეწყობა. მე რომ „დინამოდან" წამოვედი, მერე გამოუჩნდა კლუბს პატრონი და ფული.

— **„კრისტალში" არსებულ სიტუაციით და პირობებით კმაყოფილი ხარ?**

— ახლა აქაც აირია სიტუაცია. ადრე რომ იყო, ისეთი პირობები აღარაა. კლუბს ახალი პატრონი ჰყავს — სმოლენსკის გუბერნატორი დიდ ყურადღებას არ აქცევს გუნდს.

— **სმოლენსკის ცნობილი საიუველირო ქარხანა აღარ აფინანსებს „კრისტალს"?**

— აღარ, რადგან კლუბის ხელმძღვანელობა შეიცვალა. შესაძლოა, სმოლენსკიდან წამოვიდე — პირველი წრე სამ კვირაში მთავრდება და საქართველოში ჩამოვალ. მერე კი ვნახოთ, რა მოხდება. იქნებ ისევ რუსეთის პირველი ლიგის რომელიმე გუნდში გადავიდე.

— **სმოლენსკში ხალხს ძალიან უყვარს ფეხბურთი?**

— გულშემატკივარი სულ დადის — საშუალოდ ჩვენს საშინაო მატჩებს 7-10 ათასი კაცი ესწრება და გულშემატკივრები გასვლით თამაშებზეც დაგვყვებიან. ხალხს აქ ფეხბურთი მართლა ძალიან უყვარს მიუხედავად იმისა, რომ სმოლენსკში გასართობი სხვა ბევრიცაა.

— **ცხოვრების დონე როგორია სმოლენსკში — ხალხს ძალიან უჭირს?**

— სმოლენსკი მოსკოვთან ახლოსაა — 300 კილომეტრით დაშორებული და იქნებ ამის გამო აქ ცხოვრების დონე საშუალოდ შეიძლება ჩაითვალოს. საქართველოზე გაცილებით უფრო სტაბილური სიტუაციაა და ხალხსაც არ უჭირს, ნორმალურად ცხოვრობს.

— **„კრისტალი" რომ მე-13 ადგილზეა, უსახსრობის ბრალია?**

— კლუბში რომ სიტუაცია აირია, მაგის ბრალია, თორემ თავიდან სეზონი კარგად დავიწყეთ.

— **„კრისტალშიც" საყრდენ ნახევარმცველად თამაშობ?**

— უმეტესწილად ასეა, მაგრამ ხანდახან დაცვაშიც. აქ სულ სხვა ფეხბურთია — მაქსიმუმ ორი შეხება და ბურთი უნდა მოიცილო. რუსეთის პირველ ლიგაში თამაში უფრო ძნელია, ვიდრე საქართველოს უმაღლეს ლიგაში — აქ ბრძოლაა, სულ „პადკატები". სხვათა შორის, რუსული პრემიერლიგის ფეხბურთელებიც იგივეს ამბობენ, პირველი ლიგის გუნდებთან თამაში რთულიაო. აქ „ანჟის" კახა მჟავანაძემ საგრძნობლად მოუმატა თამაშს — გაჯი გაჯიევი მისით ძალიან კმაყოფილია.

— **ზვიად ჯელაძის და თემურ გადელიას „ბალტიკა" მე-7 ადგილზეა — პრემიერლიგაში გადასვლას ხომ არ აპირებენ?**

— „ბალტიკაში" ნორმალური, დალაგებული სიტუაციაა, მაგრამ გუნდს პრემიერლიგაში აღზევება არ დაუსახავს მიზნად.

— **რუსეთის ნაკრებს რომ მოვუგეთ, სმოლენსკში ამაზე რა ითქვა?**

— ამ მატჩმა დიდი ინტერესი გამოიწვია, ერთი ამბავი იყო. თამაშის მერე ყველა მილოცავდა — „მოლოდცი გრუზინიო". მეკითხებოდნენ, ასე თუ შეგეძლოთ თამაში, ციკლი ცუდად რატომ დაიწყეთო. ვუპასუხე, რომ ყველაფერი ალბათ მწვრთნელის ფაქტორზე იყო დამოკიდებული — უცხოელი თუ გვიშველის რამეს-მეთქი.

**დავით თავართქილაძე**

# სიონმა ნგრევა დაიწყო

## ბოლნისში უეფას ეპრანჭებიან

**ბოლნისური „სიონი"** უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის და საახალსეზონოდ მზადებას 25 ივნისს დაიწყებს. თემურ მახარაძის გუნდი შვებულებაშია, თავად მწვრთნელი კი „სიონის" გასაძლიერებლად ფეხბურთელებს დაეძებს.

სანამ ქვემოქართლურ კლუბში ბევრი რამ ჯერაც არ გარკვეულა, მანამ „თემურ სტეფანიაზე" დიდი სამუშაოებია გაჩაღებული. „სიონის" თავკაცებს აუკვიტებიათ, ბოლნისში ჩამოსულ უეფასეულ კომისიას ჩვენი სტადიონი უნდა მოვაწონოთ და საშინაო მატჩის აქ ჩატარების დასტურიც გამოვტყუოთო.

„თემურ სტეფანიაზე" ტრიბუნები უკვე მოარღვიეს და ახლის შენებაც დაიწყეს, მოედნის სიგრძე აქამდე 103 მეტრი იყო, რაც სტანდარტებს არ შეესაბამებოდა და მინდორი ორი მეტრით დააგრძელეს. არც სიგანე დავიწყებიათ და ორი მეტრი ადგილი ამისთვისაც გამოინახა.

„სიონს" ჩვენში ერთ-ერთი საუკეთესო გასახდელ-საშხაპეები და საპრესკონფერენციო დარბაზი აქვს, მაგრამ უეფასეული მოთხოვნები რომ დააკმაყოფილონ, საშხაპეებს ხელის შეხება დასჭირდება, მაგრამ ეს უმნიშვნელო სამუშაოებიაო, ამბობენ ბოლნისელები.

რაც შეეხება თავად სათამაშო მოედანს, ქვემოქართლელები ირწმუნებიან, ევროპელ სტუმრებს ის სრულ წესრიგში დახვდებათო. მეთოთხმეტე ჩემპიონატის დასრულებამდე დათესილმა ჰოლანდიურმა ბალახმა ისე იხარა, რომ უკვე რამდენჯერმე გაკრიჭეს და მორწყვას თუ განოყიერებასაც არ აკლებენ.

თემურ მახარაძე ახალი ფეხბურთელების ვინაობას, სავარაუდოდ, 20 ივნისს გამოაცხადებს. იმ დღეს ისიც გაცხადდება, ბოლნისიდან ვინ წავიდა.

**მამუკა ქვანტალიანი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 003 | ესპანიოლი-ვილარეალი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 004 | ოსასუნა-ალავესი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 21.00 | 005 | უელვა-მალიორკა | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 21.00 | 006 | ვალიადოლიდი-რაიო | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 24.00 | 007 | ბილბაო-დეპორტივო | 2,45 | 3,2 | 2,6 | 1,38 | 1,26 | 1,43 |
| 24.00 | 008 | ატლეტიკო-რეალი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 24.00 | 009 | სელტა-სოსიედადი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 24.00 | 010 | მალაგა-სევილია | 2,9 | 3,2 | 2,3 | 1,52 | 1,28 | 1,33 |
| 24.00 | 011 | ბეტისი-რასინგი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 24.00 | 012 | ვალენსია-ბარსელონა | 2,0 | 3,3 | 3,4 | 1,24 | 1,25 | 1,67 |
| | | **დანია. XXXI ტური** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 032 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2,7 | 3,3 | 2,35 | 1,48 | 1,25 | 1,37 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 18.00 | 033 | ფარუმი-ოლბორგი | 2,0 | 3,4 | 3,3 | 1,25 | 1,24 | 1,67 |
| 18.00 | 034 | მიდტიულანდი-ორჰუსი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 18.00 | 035 | კოგე-აკადემისკი | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| 18.00 | 036 | სილკებორგი-ვიბორგი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 20.35 | 037 | ბრიონდბიუ-ოდენსე | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **რუსეთი. XII ტური** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 038 | ალანია-ზენიტი | 2,0 | 3,0 | 3,0 | 1,2 | 1,2 | 1,5 |
| 16.00 | 039 | კრილია-ურალანი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 040 | კრილია-ურალანი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 16.00 | 041 | ლოკომოტივი-სპარტაკი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 16.00 | 042 | ჩერნომორეცი-რუბინი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 16.00 | 043 | როსტსელმაში-დინამო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 16.00 | 044 | სატურნი-როტორი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 16.00 | 045 | ცსკა-შინიკი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 046 | ცსკა-შინიკი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 16.00 | 047 | მეტალურგი-ტორპედო | 3,5 | 3,2 | 2,0 | 1,67 | 1,27 | 1,23 |
| | | **ნორვეგია. X ტური** | | | | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 055 | როზენბორგი-მოლდე | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 056 | როზენბორგი-მოლდე 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 057 | ალესუნდი-ბოდიო გლიმტი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| 21.00 | 058 | ვიკინგი-ლილესტრიომი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| 21.00 | 059 | სოგნდალი-ოდ გრენლანდი | 1,95 | 3,5 | 3,3 | 1,25 | 1,22 | 1,69 |
| 21.00 | 060 | ტრომსიო-ლინი | 2,45 | 3,4 | 2,45 | 1,42 | 1,22 | 1,42 |
| 21.00 | 061 | ბრანი-სტაბეკი | 2,5 | 3,4 | 2,4 | 1,44 | 1,22 | 1,4 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 22.00 | 062 | ვოლერენგა-ბრინი | 1,75 | 3,5 | 4,0 | 1,16 | 1,21 | 1,86 |
| | | **პორტუგალია. თასი** | | | | | | |
| | | **ფინალი (ლისაბონში)** | | | | | | |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 21.15 | 070 | პორტუ-ლეირია | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **ევრო 2004. შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 101 | აზერბაიჯანი-სერბეთი | 8,0 | 4,2 | 1,35 | 2,75 | 1,15 | 1,02 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 102 | ესტონეთი-ხორვატია | 4,8 | 3,3 | 1,7 | 1,95 | 1,25 | 1,12 |
| 21.45 | 103 | ფარერის კუნძულები-გერმანია | 14,0 | 6,0 | 1,15 | 4,19 | 1,06 | 1 |
| | 104 | ფარერის კუნძულები-გერმანია 1:0 | 4,2 | 4,2 | 1,35 | | | |
| 22.00 | 105 | ლიტვა-ისლანდია | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 22.45 | 106 | ნორვეგია-რუმინეთი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 23.00 | 107 | შვედეთი-პოლონეთი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 23.00 | 108 | სან მარინო-უნგრეთი | 25,0 | 9,0 | 1,05 | 6,61 | 1 | 1 |
| | 109 | სან მარინო-უნგრეთი 2:0 | 2,0 | 4,8 | 2,0 | | | |
| 23.00 | 110 | საბერძნეთი-უკრაინა | 1,95 | 3,2 | 3,6 | 1,21 | 1,26 | 1,69 |
| 23.00 | 111 | ლუქსემბურგი-დანია | 30,0 | 10,0 | 1,03 | 7,5 | 1 | 1 |
| | 112 | ლუქსემბურგი-დანია 2:0 | 2,0 | 10,0 | 2,0 | | | |
| 23.00 | 113 | თურქეთი-მაკედონია | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 114 | თურქეთი-მაკედონია 0:1 | 1,35 | 4,2 | 4,2 | | | |
| 23.00 | 115 | ფინეთი-იტალია | 4,6 | 3,2 | 1,75 | 1,88 | 1,26 | 1,13 |
| 23.15 | 116 | შვეიცარია-ალბანეთი | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 117 | შვეიცარია-ალბანეთი 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 23.15 | 118 | ბელგია-ანდორა | 1,03 | 10,0 | 30,0 | 1 | 1 | 7,5 |
| | 119 | ბელგია-ანდორა 0:2 | 2,0 | 4,8 | 2,0 | | | |
| 23.15 | 120 | ჩეხეთი-მოლდოვა | 1,08 | 7,5 | 20,0 | 1 | 1,02 | 5,45 |
| | 121 | ჩეხეთი-მოლდოვა 0:2 | 2,0 | 4,8 | 2,0 | | | |
| 23.30 | 122 | ავსტრია-ბელარუსი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| | 123 | ავსტრია-ბელარუსი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 23.30 | 124 | ირლანდია-საქართველო | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | 125 | ირლანდია-საქართველო 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 24.00 | 126 | ინგლისი-სლოვაკეთი | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 127 | ინგლისი-სლოვაკეთი 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 24.00 | 128 | ჩრდ.ირლანდია-ესპანეთი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |
| | | **ევრო შესარჩევი მატჩები** | | | | | | |
| | | **(21 წლამდე)** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 151 | აზერბაიჯანი(21)-სერბეთი(21) | 6,5 | 4,0 | 1,45 | 2,47 | 1,18 | 1,06 |
| 19.30 | 152 | ჩეხეთი(21)-მოლდოვა(21) | 1,07 | 8,0 | 20,0 | 1 | 1,01 | 5,71 |
| | 153 | ჩეხეთი(21)-მოლდოვა(21) 0:2 | 1,7 | 4,8 | 2,3 | | | |
| 20.00 | 154 | ავსტრია(21)-ბელარუსი(21) | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 15.00 | 162 | კორეა-არგენტინა | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 15.20 | 163 | იაპონია-პარაგვაი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,55 |
| 23.00 | 164 | ნიგერია-ბრაზილია | 3,6 | 3,2 | 1,95 | 1,69 | 1,26 | 1,21 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **1/2 ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 04.10 | 171 | ბოკა ხუნიორსი-ამერიკა | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| | | **კალათბურთი NBA** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 601 | ნიუ ჯერსი-სან ანტონიო | 1,8 | 12,0 | 1,8 | 1,56 | 1 | 1,56 |
| | | **კალათბურთი. იტალია** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 23:30 | 604 | სკიპერი-ბენეტონი | 1,7 | 12,0 | 1,9 | 1,48 | 1 | 1,64 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 24.00 | 607 | უნიკახა-ვალენსია | 1,55 | 12,0 | 2,1 | 1,37 | 1 | 1,78 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | |
| 22.45 | 2301 | ნორვეგია-რუმინეთი | 1.7 | 1.9 |
| 23.00 | 2302 | შვედეთი-პოლონეთი | 1.7 | 1.9 |
| 23.00 | 2303 | საბერძნეთი-უკრაინა | 1.7 | 1.9 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | |
| 22.45 | 2401 | ნორვეგია-რუმინეთი | 1.65 | 2,3 |
| 23.00 | 2402 | შვედეთი-პოლონეთი | 1,45 | 2,8 |
| 23.00 | 2403 | საბერძნეთი-უკრაინა | 1,75 | 2,1 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | |
| 22.45 | 2201 | ნორვეგია-რუმინეთი | 1,75 | 1,85 |
| 23.00 | 2202 | შვედეთი-პოლონეთი | 1,75 | 1,85 |
| 23.00 | 2203 | საბერძნეთი-უკრაინა | 1,75 | 1,85 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | | | | | | | | |
| 22.45 | 2101 | ნორვეგია-რუმინეთი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 23.00 | 2102 | შვედეთი-პოლონეთი | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 23.00 | 2103 | საბერძნეთი-უკრაინა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 22.45 | 2001 | ნორვეგია-რუმინეთი | 2,3 | 2,1 | 4,8 | 1,09 | 1,55 | 1,46 |
| 23.00 | 2002 | შვედეთი-პოლონეთი | 2,05 | 2,15 | 5,6 | 1,04 | 1,5 | 1,55 |
| 23.00 | 2003 | საბერძნეთი-უკრაინა | 2,4 | 2,05 | 4,6 | 1,1 | 1,57 | 1,41 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | | |
| 22.45 | 2501 | ნორვეგია-რუმინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2502 | შვედეთი-პოლონეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 23.00 | 2503 | საბერძნეთი-უკრაინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

# ფორმულა 1. კანადა. 14 ივნისი (13.00)

| 4001 გამარჯვებული | | სამეული | | ექვსეული | | 4002 უსწრ. წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1.6 | 4101 | 1,15 | 4201 | 1,1 | 1,6 |
| ბარიკელო | 5,0 | 4102 | 1,55 | 4202 | 1,2 | 4,0 |
| რაიკონენი | 6.0 | 4103 | 1,7 | 4203 | 1,25 | 4,6 |
| კულტჰარდი | 8.0 | 4104 | 1,9 | 4204 | 1,25 | 7,0 |
| მონტოია | 8.0 | 4105 | 2,0 | 4205 | 1,25 | 4,6 |
| რ.შუმახერი | 15.0 | 4106 | 3,3 | 4206 | 1,3 | 12,0 |
| ალონსო | 25.0 | 4107 | 3,6 | 4207 | 1,3 | 25,0 |
| ტრული | 35.0 | 4108 | 6,0 | 4208 | 1,8 | 35,0 |
| ბატონი | 75.0 | 4109 | 15,0 | 4209 | 2,3 | 100,0 |
| ფრენცენი | 75.0 | 4110 | 15,0 | 4210 | 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი | 75,0 | 4111 | 15,0 | 4211 | 3,0 | 100,0 |
| ვილნევი | 75.0 | 4112 | 15,0 | 4212 | 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 75.0 | 4113 | 15,0 | 4213 | 3,0 | 100,0 |
| პანისი | 75.0 | 4114 | 15.0 | 4214 | 3,0 | 100,0 |
| ვებერი | 75,0 | 4115 | 15,0 | 4215 | 3,0 | 100,0 |
| და მატა | 75.0 | 4116 | 15,0 | 4216 | 3,0 | 100,0 |

| 4301 გამარჯვებული გუნდი | |
|---|---|
| ფერარი | 1,4 |
| მაკლარენი | 3,3 |
| უილიამსი | 5,0 |
| რენო | 15,0 |
| ზაუბერი | 40,0 |
| ბარ | 40,0 |
| ჯორდანი | 50,0 |
| ტოიოტა | 50,0 |
| იაგუარი | 50,0 |
| მინარდი | 200,0 |

# შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ


## სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[a] კორპუსი

ბროკოს ბიუროებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30

კვირა 12.00–20.30


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, მას კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილ-ერისთავის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1[a] კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანების დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარტყავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიის" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის პირდაპირ | |

# ცქიტიშვილი შრეკივით გასუქდა და ჰავაის ფერზეა
## ვის ქომაგობენ ზემოიმერლები ამერიკაში? რა თქმა უნდა, სან ანტონიოს, ჩემო ბატონო

*ფინალში ვერგასულ ნბა-ს ვარსკვლავებსა თუ უბრალოდ ყოჩაღ ბიჭებს ახლა ბაირამი უდგათ. საკუთარი ოფლით ნაშოვნ მილიონებს ზოგი ჰავაიზე ხარჯავს, ზოგიც მიკრონეზიულ პლაჟებზე. იმათ კი, ვინც თავი ვერაფრით გამოიჩინეს, მაგრამ რიგიან კალათბურთელად ქცევის არცთუ ცუდი პერსპექტივა აქვთ, კვლავ დარბაზებსა და სატრენაჟოროებში უწევთ ოფლდენა, რათა მომავალ სეზონში მაინც გამოიღონ ფხა. ერთ-ერთი ასეთთაგანია „დენვერის" ქართველი ახალწვეული ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის დასრულების შემდეგ მხოლოდ ორი კვირა გაათავისუფლეს, მერე კი ისევ ბურთი და ჰანტელები მიაჩეჩეს... ხომ იცით ყველა პატარის საყვარელი ანიმაციური გმირი შრეკი. ცქიტიშვილის თქმით, ახლა ის სწორედ შრეკივით ზორბაა და ამ მიზეზის გამო ამპლუის გამოცვლაც მოუწევს...*



ნიკა ცქიტიშვილმა კუნთები დაიმსხვილა და ფარქვეშ შეიწოა

— თითქმის მთელი ამერიკული ელიტა ჰავაიზე ისვენებს და ქუჩაში არავინ გაგაჩერებს, თუ მართლაც პოპულარული ვინმე არ ხარ. ისე, მთლად უყურადღებოდ არ დავრჩენილვარ. ის კი არა, დიდი პატივი მერგო, როცა ერთ-ერთ კლუბში ყოფნისას ფოტო გადამიღეს და კედელზე ჩამოკიდეს მაიკლ ჯეკსონის, მაიკ ტაისონის, მაიკლ ჯორდანის და ამ კლუბში ოდესმე ნასტუმრევ სხვა პოპულარული პიროვნებების ფოტოების გვერდით.

არ გეგონოს, მხოლოდ ბარებსა და რესტორნებში დავდიოდი, ჰავაიდან ორი საათის საცურზე კუნძული ბიგ აილენდია, რომელზეც მოქმედი ვულკანია. სანამ ვულკანამდე მივიდოდით, საათნახევარი ფეხით ვიარეთ, მაგრამ იმ საოცარი სანახაობის ნახვა ნაღდად ღირდა ერთ კარგ დაღლად.

**— ბოჰემური ორკვირეულის შემდეგ როგორ შეეგუე დენვერულ სატრენაჟოროებს?**

— რას ვიზამ, აქ იმისთვის ვარ, რომ კალათბურთი ვითამაშო, უვარჯიშებლად კი არაფერი გამომივა. ძნელია ჰავაის პლაჟების მერე დარბაზებში ოფლის ღვრა, მაგრამ თავს უფლებას არ მივცემ, მომავალ სეზონშიც ისევე გამიჭირდეს, როგორც აქამდე.

**— მართლაცდა, დრაფტის მე-5 რჩეულის კვალობაზე ძალიან გაგიჭირდა...**

— ამერიკულ კალათბურთს ყველა იოლად ვერ უღებს ალღოს. თუ სტუდენტურ ლიგაში არ გითამაშია, მაშინ ფიზიკურად მაინც უნდა იყო ძლიერი, რამე რომ იღონო, აი, ნენესავით მაინც. მე კი საადაპტაციოდ გარკვეული დრო მჭირდება, სლოვენიაშიც ასე იყო, პირველი სეზონი საერთოდ ვერ ვითამაშე, იტალიაშიც გამიჭირდა თავიდან. ყველაფერთან ერთად ნბა-ში ფსიქოლოგიური ბარიერიც დასაძლევია, მით უმეტეს, ჩემსავით ახალგაზრდა კალათბურთელისთვის.

**— მერე, რას ფიქრობ, ეს ერთი წელი შენთვის საკმარისი იქნება საადაპტაციოდ?**

— ვფიქრობ, საკმარისი უნდა იყოს საიმისოდ, რომ გარკვეულ დონეს მივაღწიო, თორემ, ის თუ ვიფიქრე, ეგაა და გარნეტი გავხდიო, უაზრობა იქნება და მეტი არაფერი.

**— მალე დრაფტია და „დენვერიც" ახალ შევსებას მიიღებს. შენს გუნდს მესამე არჩევანის უფლება აქვს და ვის აიყვანს თუ იცი?**

— პატარა გენიოსს, ლებრონ ჯეიმსს პირველ ნომრად „კლივლენდი" აირჩევს. მერე „დეტროიტის" ჯერია და თუ მარკო მილიჩიჩს აიყვანს, ჩვენ NCAA-ს სირაკუზელი ჩემპიონი კარმელო ენტონი დაგვრჩება. ალბათ, ასეც მოხდება.

**— ეს ვარიანტი ხელს არ უნდა გაძლევდეს, ენტონი ხომ შენს პოზიციაზე, მე-3 ნომერზე თამაშობს.**

— მე და სამი ნომერი? ჩემი სამი ნომრობა დამთავრდა. მომავალი სეზონიდან ოთხ ნომერზე, თავდამსხმელად ვითამაშებ. რამხელა ვარ იცი? ახალი ამერიკული მულტფილმი რომ გამოვიდა, „ჰალკი", აი, იმხელა, ძალიან დიდი.

**— „ჰალკი" არ ვიცი და, ერთი ცნობილი მულტფილმის გმირია, შრეკი, ის კი მართლაც მოზვერა ვინმეა...**

— ჰო, თუნდაც ეგ, ოღონდ შრეკივით მწვანე არა, მაგრამ მასავით მსუქანი კი ვიქნები. სიმაღლეც მომემატა, ფეხშიშველია 214 სანტიმეტრი ვარ, ფეხსაცმელში — 217.

**— ესე იგი, გიჯობს, დენვერელებმა ენტონი კარმელო აიყვანონ, მილიჩიჩი ხომ თავდამსხმელი-ცენტრია...**

— რა თქმა უნდა, მილიჩიჩი ჩემი კონკურენტი იქნებოდა, მაგრამ, მას ალბათ „დეტროიტი" აირჩევს, მათ ხომ ძალიან სჭირდებათ ხეირიანი მეფარე. ისე, მილიჩიჩი 14 ივნისს ჩამოვა დენვერში და წინასადრაფტოდ ჩვენთან წაივარჯიშებს.

**— გამოდის, ახალი ამპლუისთვის ემზადები, ფარქვეშ საბრძოლველად.**

— ვცდილობ, რაც შემიძლია. „დენვერმა" ორი ახალი მწვრთნელი დაიქირავა, ფარქვეშა ორთაბრძოლებისა და ტექნიკის სპეციალისტები. ახლა მხოლოდ ისინი გვავარჯიშებენ, ჯეფ ბზდელიკი შვებულებაშია.

**— როდის იკრიბებით?**

— ალბათ 5 ივლისისთვის შევიკრიბებით და სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო ლიგისთვის დავიწყებთ მზადებას. ისე, მთლიანი გუნდი სექტემბრისთვის თუ შეიკრიბება, ჰოვარდს, კემბის და მისთანა ვარსკვლავებს შუა ზაფხულში ვინ შეაწუხებს? სოლტ ლეიკ სიტის შემდეგ ლოს ანჯელესშია საზაფხულო ლიგა და იქაც გამოვალთ.

**— იტალიაშიც ხომ აპირებდი წასვლას, „ბენეტონის" საზაფხულო კემპზე?**

— წავალ კიდევაც, ამ თვის ბოლოსაა ეგ კემპი და ტრევიზოში ჩასვლას მოვასწრებ.

**— სავარაუდოდ, სწორედ მაგ დროს შეიკრიბება პირველად საქართველოს ნაკრები ახალი მწვრთნელის დრაგენ ბრაიკოვიჩის ხელმძღვანელობით. შენზე ამბობენ, ჩამოვაო...**

— ნამდვილად არ ვიცი, რას ვიზამ, მაგრამ, არა მგონია, საქართველოში ჩამოსვლა მოვახერხო. ამ დღეებში ჩვენი ფედერაციიდან დამიკავშირდა გია სანაძე, ნაკრები იკრიბება და შენც გელითო. ვერ დავპირდი, მაგრამ ვუთხარი, თუ თავისუფალი დრო გამოვნახე, ჩემი იმედიც გქონდეთ-მეთქი.

ისე, არა მგონია, თბილისში ჩამოსასვლელი დრო გამოძებნდეს. 5 ივლისს რომ შევიკრიბებით, მერე გამორიცხულია გუნდიდან სადმე წასვლა. სერიოზული მატჩები რომ იყოს, მესმის, გაიჭირვებდა კაცი, ახლა კი მხოლოდ საწვრთნელ შეკრებას გეგმავენ და მგონი, ერთი-ორი ამხანაგური მატჩი უნდა ითამაშონ. ნაკრებში სავარჯიშოდ რომ ჩამოვიდე და ტრავმა მივიღო, დამთავრებულია ჩემი დენვერული ამბავი, პრინციპული მატჩებისას კი ჩემი თავი შემოგევლოთ.

**— ოფიციალური მატჩები მომავალ ზაფხულამდე არ გვექნება...**

— თუ ამ ზაფხულს ვერ ჩამოველი, მერე სეზონი დაიწყება და მომავალ ზაფხულამდე ველარ ჩამოვალ. ასეთივე მდგომარეობაშია ვლადიმერ სტეფანიაც.

**— და შესაძლოა, ზაზა ფაჩულიამაც თქვენი ბედი გაიზიაროს, ის წლევანდელ დრაფტში მიიღებს მონაწილეობას.**

— მხოლოდ გამიხარდება, ზაზა თუ ნბა-ში ითამაშებს. დრაფტის დღეს, 26 ივნისს, მე ფინიქსში ვიქნები და შესაძლოა, ნიუ იორკში გადავფრინდე ზაზას სანახავად.

**— ბოლოს ფინალზე გკითხავ: „სან ანტონიოს" ქომაგობ თუ „ნიუ ჯერსის"?**

— „ლეიკერსს" და „დალასს" ვქომაგობდი, ახლა კი „სან ანტონიოს" ჩემპიონობა მინდა, დასავლეთის გუნდები მომწონს, საქართველოშიც ხომ დასავლეთიდან ვარ.

— მხოლოდ ორი კვირა დავისვენე და ისევ ვარჯიშს შევუდექი. დენვერში მხოლოდ ახალბედები დავრჩით — ჰარინგტონი, ჰარვი, იარბრო, მე, დანარჩენები კი ზოგი სად ისვენებს და ზოგიც სად.

**— ნენე ილარიოც ხომ ახალბედაა, ის რატომ არ ვარჯიშობს თქვენთან ერთად?**

— ნენემ პირადი მწვრთნელი დაიქირავა და ახლა კლივლენდში ვარჯიშობს. არ ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს, ვისთან ივარჯიშებ, მეც შემეძლო მწვრთნელის აყვანა, მაგრამ გუნდთან ერთად დავრჩი.

**— დენვერელმა ჟურნალისტებმა საგანგებო წერილი უძღვნეს შენი ჰავაიზე დასვენების ამბავს.**

— ჰავაიზე მართლაც კარგად დავისვენე. ორი კვირა სამოთხეში ვიყავი, არც ვარჯიშები, არც გრაფიკი, მხოლოდ ზღვა და გასართობი კლუბები. ოჯახიც თან მახლდა, დედა და ძმა, ჩემი ძმაკაცი პრედრაგ სავოვიჩიც გვერდში მყავდა.

**— ადრე გითქვამს, დენვერში და სხვაგანაც ქუჩაში ხალხი მცნობდა, ავტოგრაფებსაც მთხოვდნენო. ჰავაიზე თუ გამოგიჩნდნენ თაყვანისმცემლები?**

**ირაკლი პერტაია**

# ჰიუსტონს ძველი დიდება უღიტინებს

*ნბა-ს უმთავარმწვრთნელო კლუბთა ჯგუფს ამ ორი დღის წინ ორი გამოაკლდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ორმა კლუბმა შეიმატა თავკაცი. „ნიუ ორლეან ჰორნეთსმა" უკვე აიყვანა „ჩიკაგო ბულზის" ყოფილი მწვრთნელი ტიმ ფლოიდი, ხოლო „ჰიუსტონ როკიტსი" კარს ფართოდ უღებს ახლო წარსულში „ნიუ იორკ ნიქსში" მომუშავე სპეციალისტ ჯეფ ვან განდის.*

ტიმ ფლოიდი, მანამდე საუნივერსიტეტო კალათბურთში სახელმოხვეჭილი მწვრთნელით, „ჩიკაგო ბულზს" პოსტჯორდანულ ეპოქაში, 1998-2002 წლებში წვრთნიდა და სრულიად უნაყოფოდ. სამნახევარი სეზონი წყლის ნაყვის შემდეგ ფლოიდი შეეშვა „ჩიკაგოს" ბოსებთან ჩივილს — ხეირიანი მოთამაშეები მიშოვეთო და ამ უბადრუკი გუნდიდან გაქცევით უშველა თავს. მოგვიანებით გადადგა „ბულზის" საქმეთგამრიგე ჯერი კრაუზეც, რომელმაც ააშენა და შემდეგ ხელის მოსმით დაშალა 90-იანი წლების დიდი „ჩიკაგო", თუმც მისი წასვლით გაფუჭებულ საქმეს არც არაფერი ეშველა. „ბულზი" კვლავ ეძებს ცხრილის სიღრმეებიდან ამოსავალ გზებს.

ტიმ ფლოიდს კი უმაღლეს საკალათბურთო ლიგაში დამკვიდრების მეორე შანსი მიეცა. „ნიუ ორლეან ჰორნეთსში" — ბევრად უკეთეს გუნდში, ვიდრე ფლოიდისეული „ჩიკაგო" იყო — მისი სჯერათ და ამ ორშაბათს სამწლიანი და 4,8 მილიონიანი კონტრაქტიც გაუფორმეს.

„ტიმ ფლოიდს „ჩიკაგოში" შანსი არ ჰქონდა, თავისი შესაძლებლობები წარმოეჩინა. ეს ბუნებრივიცაა, პატ რაილი ამ ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მაგრამ შეხედეთ მის შედეგს ბოლო სეზონში (25 მოგება, 57 მარცხი). დიდი მწვრთნელი ვერ გახდები, თუ კარგი მოთამაშეები არ გეყოლება. ვფიქრობ, ჩვენ გვყავს მოთამაშეები, რომლებიც ფლოიდს გაბრწყინების საშუალებას მისცემენ" — ამბობს „ჰორნეთსის" პატრონი ჯორჯ შინი.

თავის მხრივ „კრაზანების" ახალი მწყემსიც პირობას დებს, რომ გუნდს უფრო დიდ სიმაღლეზე ასწევს. „ნიუ ორლეანი", სტაბილურად საშუალო გუნდი, ბოლო ოთხი წელია, სულ ხვდება პლეი ოფში, მაგრამ იქ მეორე წრეს ვერ გასცდა. სწორედ ამის გამო დაითხოვა კლუბმა ძველი მწვრთნელი პოლ საილასი, რომელიც, სხვათა შორის, სულ ერთი კვირის წინ „კლივლენდმა" აიყვანა.

ჯეფ ვან განდისა და „ჰიუსტონზეც" ვთქვათ: ვან განდი, საკმაოდ გამოცდილი და კარგი რეპუტაციის მწვრთნელი, მალე ჩაბარებს „ჰიუსტონს", რომელსაც მანამდე 12 წელიწადი წვრთნიდა სახელგანთქმული რუდი ტომიანოვიჩი. როგორც ჰიუსტონიდან იუწყებიან, საქმის გასაჩარხად ფორმალობების მოგვარებაღა დარჩა.

„ყველაფერი კარგადაა — ამბობს „როკიტსის" გენერალური მენეჯერი კეროლ დოუსონი — ჯეფს უნდა, რომ ამ ქალაქში გმირი გახდეს და ვფიქრობ, ეს ძალიან სწრაფად მოხდება."

ჯეფ ვან განდი ექვსნახევარი სეზონი წვრთნიდა „ნიუ იორკ ნიკერბოკერსს" და ნბა-ს ამ უძველეს კლუბს 248 თამაში მოაგებინა. ამ მხრივ ის მხოლოდ „ნიქსის" ლეგენდარულ მწვრთნელებს — რედ ჰოლცმანს და პატ რაილის ჩამორჩება.



ტიმ ფლოიდი და ჯეფ ვან განდი

ჯეფ ვან განდი ერთი უნიკალური რეკორდის ავტორიცაა. ის ერთადერთი მწვრთნელია ნბა-ს ისტორიაში, რომელმაც კონფერენციაში მერვე ნომრად განთესილი, ანუ პოტენციურად უსისტესი გუნდი პლეი ოფის ფინალში გაიყვანა. ვან განდიმ ეს 1999 წელს შეძლო. ის ფინალი „ნიქსმა" ობიექტურად ძლიერ „სან ანტონიოსთან" 1:4 დათმო.

ვან განდის იმედი აქვს, რომ არანაკლებ წარმატებებს მიაღწევს „ჰიუსტონშიც". „როკიტსს" ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა ჰყავს, რომელთა შორის თვალს ხვდება 226-სანტიმეტრიანი ჩინელი იაო მინგი.

# ახალი სურათი
## შავი კაცი ქალალი ფოცხვერით

**სიახლე** შარლოტიდან, სადაც მალე ნბა-ს კიდევ ერთი, რიგით 30-ე კლუბი დაარსდება. კლუბი თანდათან ყალიბდება და ერთი წლის შემდეგ ანუ 2004 წლიდან ნბა-ს ფერხულში ჩაებმება.

სიახლე კი გუნდის სახელია — შარლოტულ კლუბს ამიერიდან „შარლოტ ბობქეთსი" ერქმევა. „ბობქეთსი" ჩრდილოამერიკულ ქლალ ფოცხვერს ნიშნავს და ეს სახელი შეირჩა სამი „ფინალისტიდან" (დანარჩენი ორი — „დრაგონზ" და „ფლაით").

რატომ მაინცდამაინც „ბობქეთსი"? ერთნი სწორედ ამ სახელის შერჩევას კლუბის პატრონის რობერტ, იგივე ბობი ჯონსონის სახელს უკავშირებენ. თუმც თავად ბობი ჯონსონს — პირველ შავკანიან მფლობელს ნბა-ში — სხვა მიზეზი მოაქვს — შარლოტის საფეხბურთო კლუბი „პანტერებად" იწოდება და ბობი ამბობს, რატომაც არ ვაქციოთ ეს ქალაქი ველური კატების ბუნაგადო.

შარლოტის ძველ საკალათბურთო კლუბს კი, შეგახსენებთ, „ჰორნეთსი" — „კრაზანები" ერქვა. კლუბი შარლოტიდან 2002 წელს ახალ ორლეანში გადაბარგდა და თან წაიღო სახელი, ფერები და საერთოდ ყველაფერი. აღსანიშნავია, რომ სახელი „ჰორნეთსი" კლუბს სამოქალაქო ომისდროინდელი, წარმოშობით და მაცხოვრებლობით სადღაც იქაური გმირის ჰუგო ზე ჰორნეტის მეტსახელიდან მოდის.

**კოტე ყორშია**

*ევროპის ვაჟთა ჩემპიონატზე მეათე ტურის შემდეგ ცხრილის თავში ჩვენი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი დგას. მან პირველობა წინა ტურში რუს დიდოსტატ ვლადიმირ მალაკოვთან დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა*

# შანსი რუსი ქალისა და გურჯი კაცისა

მეტოქეებმა დებიუტშივე გაცვალეს ლაზიერები და ბრძოლის ველი შედარებით მსუბუქ ფიგურებს დაუთმეს. შავებით მოთამაშე აზმაიფარაშვილი უფრო აქტიურობდა. მალე თამაში ხოცვა-ჟლეტაში გადაიზარდა და დაფაზე ფიგურების რაოდენობა შემცირდა. აზმაიფარაშვილს ცოცხლად მეფე, სამი პაიკი და ერთი კუ გადაურჩა, მეტოქეს მეფე, ეტლი და პაიკი. რიცხობრივ უპირატესობაში მყოფმა შავებმა შეტევა განახორციელეს. რამდენიმესვლიანი გაბრძოლების შემდეგ მალაკოვი მიხვდა, რომ ამ პარტიის ვერც გამყაიმებელი იყო და, მით უმეტეს, ვერც მომგები. მან 59-ე სვლაზე თამაში შეწყვიტა.

გუშინ კი მე-10 ტურში აზმაიფარაშვილი მეორე ადგილზე მყოფ ასევე რუს დიდოსტატ კონსტანტინ საკაევს დაუპირისპირდა. როგორც ჩანს, ორივემ ძალები შემდეგი პარტიებისთვის შემოინახა და მეთერთმეტე სვლაზე ყაიმიც გამოცხადდა.

აზმაიფარაშვილის ბედად ვერ მოიგეს შეხვედრები მისმა უშუალო კონკურენტებმა. ალექსანდრ გრიშჩუკი და კირილ გეორგიევი ყაიმზე შეთანხმდნენ, ალექსეი ალექსეევმა კი ჰოლანდიელ დიდოსტატ ლუკ ვან ველთან წააგო და ჩვენებურმაც პირველობა შეინარჩუნა.

ქალებში მერვე ტურის შემდეგ შვიდი ქულით რუსი დიდოსტატი ალისა გალიამოვა ლიდერობს და ჩემპიონობის ყველაზე კარგი შანსიც აქვს, რადგან უშუალო კონკურენტებს — ტატიანა კოსინცევას, ანტოანეტა სტეფანოვას, ოლგა ზიმინას და ვიქტორია ჩმილიტს ერთი ქულით უსწრებს.

მეშვიდე ტურის შემდეგ ქართველ ქალთაგან ყველაზე უკეთესი შედეგი ნინო ხურციძეს, ნანა ძაგნიძესა და ანა მათნაძეს ჰქონდათ. სამივე 5-5 ქულით მეექვსე-მეჩვიდმეტე ადგილებს ინაწილებდნენ.

გუშინ ხურციძე რუს დიდოსტატ და ასევე ხუთქულიან სვეტლანა მატვეევას შეხვდა, ანა მათნაძე კი გერმანიის სახელით მოასპარეზე ქეთევან კახიანგერშინკს. დიდი ბრძოლის მიუხედავად ანამ ვერ შეძლო გაგერმანებული ქართველის ძლევა და 74-ე სვლაზე გამარჯვება მიულოცა.

ხურციძისა და მატვეევას შეხვედრა კი ყაიმით დასრულდა. ნინო კვლავ ინარჩუნებს საპრიზო ადგილებზე მოხვედრის შანსს.

**ლუბა გეგეჭკორი**



ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი ლამაზმანი ალმირა სკრიპჩენკო







REUTERS

ტრიუმფი ეიფელის ცის ქვეშ: ჟუსტინ ენენ-არდენი და ხუან კარლოს ფერერო

# ფერერო ჩალაღაჯს მიეტანა
## შავდებს შორის ნაპრალი იზრდება

აჰა, წლის მეორე სლემტურნირიც ჩავაგრიალეთ და მორიგ, უკვე საამტურნირევ, საამროლანგაროსევ რეიტინგსიათა განჩხრეკის ჟამი დადგა.

როგორ შეცვალა ზეპურ კაც და ქალმეჩოგნეთა ზელცეულები წლევანდელმა პარიზთიხნარობამ? ვინ ალზევდა და ვინ დაკნინდა?

საამდღეებო საკითხავებიც სწორედ ეგ გახლავთ.

უპირველესად — გამარჯვებულთა სადღეგრძელო უნდა ითქვას.

პარიზში თავისი პირველი სლემტიტულის მომკელმა ხუან კარლოს ფერერომ ყველა სიკეთესთან ერთად ჩემპიონთა რბოლაში 200-ქულიანი ტრანში მიიღო და მესამიდან უმალ პირველზე აინაცვლა. 12-თვიან მგორავ სიაში კი თუმც აქამომდელ მესამეზევე დარჩა, მაგრამ პირველმეორიოსან ჰიუიტსა და აგასის უკვე ჩალაღაჯამდე მიეწია.

უკეთუ ესპანელი კოლობიჭი უიმბლდონსა და მისმომდევნო ტურნირებზეც ასევე აუღელვებლად, ბასრად და მობილიზებულად გაირჯება, ვინძლო, ბებერ ანდრანიკსა და კისკას ოზბიჭს მალე გადაასწროს კიდეც — თავადაც ხედავთ, პირველისგან მხოლოდ 140 ქულალა აშორებს, მეორისგან კი — 375.

რაც შეეხება ციდა ჟუსტინ ენენ-არდენს, რომლისთვის ეს ასევე პირველი სლემტიტული იყო, მან მეოთხე ადგილიდან მესამეზე აინაცვლა და იქიდან ვინუს უილიამსი აიტა.

ქალთა სათავეში ახლა ეგეთი ვითარებაა: შავდებს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში ამქრის სათავეში გვერდიგვერდ იდგნენ, ახლა უკვე არა მხოლოდ კლაისტერსი, რომელიც მათ შორის შუაგაზაფხულზე გაეჩხირა, არამედ უკვე მთელი ბელგიური ჯუფთი ჰყოფთ.

არავინ იცის, შავდათა სარეიტინგსიო დაცილება თიხნარსეზონის გასრულებასთან ერთად შეჩერდება თუ არა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ ასეთი რამ საერთოდ შესაძლებელი ყოფილა, ამქრის სხვა წევრებსაც მეტი სითამამით აღავსებ.

ამიტომ არც ის გაგვიკვირდეს, ასეთ ვითარებაში კორტზე დაბრუნება მარტინა ჰინგისმაც რომ მოინდომოს...

სხვაფრივ — კაცთა მხარეზე ყველაზე დიდი ნახტომი როლანგაროსობის ოყლაყმა ფინალისტმა, ჰოლანდიელმა მარტინ ვერკერკმა გააკეთა. მგორავში ის 46-დან მეთხუთმეტემდე ავარდა, რბოლაში კი — 30-დან მერვემდე.

საინტერესო რამ შეემთხვა როლანგაროსის შარშანდელ ჩემპიონ ალბერტ კოსტას, რომელიც 12-თვიან სიაში 10 ადგილით კი დაქვეითდა, მაგრამ რბოლაში ამდენივეთი ამაღლდა.

საქმეში ჩაუხედავ მკითხველს შევახსენებთ, რომ 12-თვიან მგორავ რეიტინგსიაში მთავარი წინა წელს მოპოვებული ქულების დაცვაა — რასაც ვერ იცავ, გაკლდება; ჩემპიონთა რბოლას კი ყველა ნულიდან იწყებს და მეჩოგნეებს ის უგროვდებათ, რასაც წლის განმავლობაში მოირეწენ.

გასაგებია, არა?!

პატივისცემით —

**ლევან ძელაურაძე**

### 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

**ვაჟები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 4135 |
| 2 | (2) | ანდრე აგასი (აშშ) | 3900 |
| 3 | (3) | ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 3760 |
| 4 | (4) | კარლოს მოია (ესპანეთი) | 3160 |
| 5 | (5) | როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 2465 |
| 6 | (7) | გილერმო კორია (არგენტინა) | 2305 |
| 7 | (6) | ენდი როდიკი (აშშ) | 2225 |
| 8 | (11) | რაინერ შიუტლერი (გერმანია) | 1925 |
| 9 | (8) | დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 1895 |
| 10 | (14) | ირჟი ნოვაკი (ჩეხეთი) | 1775 |
| 11 | (10) | პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) | 1760 |
| 12 | (13) | სხენგ შალკენი (ჰოლანდია) | 1755 |
| 13 | (16) | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 1540 |
| 14 | (20) | ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 1451 |
| 15 | (46) | მარტინ ვერკერკი (ჰოლანდია) | 1439 |
| 16 | (21) | ფელიქს მანტილია (ესპანეთი) | 1405 |
| 17 | (18) | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 1375 |
| 17 | (19) | აგუსტინ კალერი (არგენტინა) | 1375 |
| 19 | (9) | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1370 |
| 20 | (15) | სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) | 1360 |

**ქალები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (1) | სერენა უილიამსი (აშშ) | 6006 |
| 2 | (2) | კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 5274 |
| 3 | (4) | ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია) | 4772 |
| 4 | (3) | ვინუს უილიამსი (აშშ) | 4028 |
| 5 | (6) | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 3477 |
| 6 | (5) | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 3474 |
| 7 | (8) | ჩანდა რუბინი (აშშ) | 2554 |
| 8 | (7) | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 2430 |
| 9 | (9) | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2353 |
| 10 | (10) | ანასტასია მისკინა (რუსეთი) | 2212 |
| 11 | (11) | ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) | 1961 |
| 12 | (15) | აი სუგიამა (იაპონია) | 1691 |
| 13 | (16) | მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) | 1655 |
| 14 | (14) | ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) | 1630 |
| 15 | (13) | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1555 |
| 16 | (17) | ამანტა კუცერი (ს. აფრიკა) | 1498 |
| 17 | (22) | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1478 |
| 18 | (12) | მონიკა სელეში (აშშ) | 1468 |
| 19 | (19) | მეგან შონესი (აშშ) | 1463 |
| 20 | (21) | ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1461 |

### ჩემპიონთა რბოლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | (3) | ფერერო | 507 |
| 2 | (1) | აგასი | 422 |
| 3 | (5) | კორია | 371 |
| 4 | (6) | მოია | 319 |
| 5 | (4) | შიუტლერი | 318 |
| 6 | (2) | ფედერერი | 312 |
| 7 | (7) | როდიკი | 236 |
| 8 | (9) | მანტილია | 234 |
| 8 | (30) | ვერკერკი | 234 |
| 10 | (10) | კუერტენი | 218 |
| 11 | (8) | კალერი | 215 |
| 12 | (22) | კოსტა | 201 |
| 13 | (11) | ჰიუიტი | 196 |
| 14 | (12) | უეინ ფერეირა (ს. აფრიკა) | 172 |
| 15 | (20) | ტომი რობრედო (ესპანეთი) | 163 |
| 16 | (13) | გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 157 |
| 17 | (14) | ვინსენტ სპადია (აშშ) | 153 |
| 18 | (17) | იუნეს ელ აინაუი (მაროკო) | 151 |
| 19 | (15) | ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 144 |
| 19 | (15) | კაფელნიკოვი | 144 |



*წლევანდელ ოქტომბერ-ნოემბერში ავსტრალიაში გასამართ მსოფლიოს თასამდე უფრო და უფრო ცოტა დრო რჩება. მსოფლიოს რაგბის გრანდებიც გამალებით ემზადებიან ამ დიდი ტურნირისთვის.*

*ამ უქმეებზე საზაფხულო ტესტები გახურდა. მათგან გამორჩეული ორი ტესტ-შეხლა იყო: ავსტრალიამ შინ უპრობლემოდ მოუგო ირლანდიას, ხოლო სამხრეთ აფრიკას დიდი ჯაფა დაადგა ექვსი ერის მაჩანჩალა შოტლანდიის დასამარცხებლად*

# გაათავისუფლეთ აფრიკის ტვინი!



REUTERS

ჯორჯ გრეგანის პირველი ლელო

**7 ივნისი. პერტი. „სუბიაკო ოვალი"**
**ავსტრალია 45:16 ირლანდია**

**ავსტრალია: ნლ: გრეგანი (2), ფლეტლი, ს. კეფუ, ლატამი, ტექნიკური; ნგ: ფლეტლი; სს: ფლეტლი**
**ირლანდია: ლ: კელი; სგ: ჰემფრიზი; 3ს: ჰემფრიზი (2), ოგარა;**

ავსტრალიამ ირლანდიას პერტში, იმ „სუბიაკო ოვალზე" უმასპინძლა, სადაც საქართველოს ნაკრები მსოფლიოს თასის ორ ჯგუფურ მატჩს ითამაშებს. მატჩის გმირი გახდა ავსტრალიელთა მე-9 ნომერი ჯორჯ გრეგანი, რომელიც თავის 83-ე მატჩს ატარებდა ნაკრებში. გრეგანმა ორი ლელო გაუტანა ირლანდიელებს და სანაკრებო ლელოების რიცხვი 13-მდე გაზარდა. ამასთან, ზანგი შუახაზელი მთელი 80 წუთი ატერორებდა ირლანდიელებს და ერთხელ სტივ კეფუც გააქცია სალელოდ. ეს სტივ კეფუ მის სახელოვან მოგვარე ტოუტაი კეფუში არ აგერიოთ. სტივი „ვოლაბთა" ახალბედაა და ირლანდიასთან პირველი სანაკრებო კეპი მოიხვეჭა.

მოგება მოგებად და, ავსტრალიელებს ნამატჩევს მაინც წაუხდათ ხასიათი. თამაშის ბოლოს მძიმედ დაშავდა მათი დალალებიანი მე-7 ნომერი ჯორჯ სმიტი, რომელმაც კისრის ტრავმა მიიღო. ვარაუდობენ, რომ სმიტი სექტემბრამდე დააკლდება „ვოლაბებს".

ირლანდიელთაგან, რომლებიც თავიანთი ლიდერის, „ღმერთად" წოდებული ბრაიან ოდრისკოლის გარეშე თამაშობდნენ, ყველაზე მეტი ქულა ვეტერანმა დევიდ ჰემფრიზმა მოიხვეჭა. „სამყურების" უპირველესი მექულე (436) თავის 53-ე მატჩს ატარებდა ნაკრებში და ახლა ამ მაჩვენებლით მხოლოდ ორ თანამემამულეს — პადი ჯონსს (59 მატჩი) და პიტერ კლოსლის (54) ჩამორჩება.

**8 ივნისი. დურბანი**
**ს. აფრიკა 29:25 შოტლანდია**

მსოფლიოს თასის ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქემ სამხრეთ აფრიკამ რის ვაი-ვაგლახით აჯობა კლასით მასზე ქვემდგომ შოტლანდიას. „ქურციკების" მთავარ მწვრთნელ რუდი სტრაულის არც აქამდე აკლდა კრიტიკა, ამ მატჩის შემდეგ კი მის გასაგონად ნათქვამი მრავალი უსიამოვნო ფრაზის მოსმენა მოუხდა.

სტრაულის მთავარ ოპონენტად წარსულში ცნობილი „ქურციკი" მიშელ ლუ პლესი მოევლინა. აი, რა უთხრა მან მედიას: „სტრაული მოთამაშეებს ათასი ტაქტიკური სისულელით უტენის ტვინს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მორაგბეები ვერ ფიქრობენ. მწვრთნელმა მათ თავისუფალი აზროვნების უფლება უნდა მისცეს. მეტი იმპროვიზაციაა საჭირო და ყველაფერი კარგად იქნება, თორემ ასეთი გუნდით მსოფლიოს თასზე წასვლას არწასვლა სჯობს".

**ბაჩო სვანიძე**



# ფერარიმ შუმახერი კიდევ ორი წლით ჩაისუნთქა

## ხუთი მილიონი რა სალაპარაკოა

**როგორც იქნა,** წერტილი დაესვა ფორმულა 1-დან მიხაელ შუმახერის წასვლა-დარჩენის თაობაზე მითქმა-მოთქმას. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს „ფერარისთან" კონტრაქტი გაისად უმთავრდება. ბევრი ვარაუდობდა, რომ „სამეფო რბოლებში" ყველაფრის მომგებ 34 წლის დიად გერმანელს მოტივაცია გაუნელდა და ამ ვადის გასრულების შემდეგ პენსიაზე გავიდოდა.

მიხაელისგან საბოლოო პასუხს სექტემბერში, იტალიის დიდი პრიზის გათამაშებისას ელოდნენ. ისე, რაკი ამგვარი მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად „ფერარის" სამშობლო იყო შერჩეული, ის იმას მოასწავებდა, რომ გუნდის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ეცდებოდა მასთან თანამშრომლობის გაგრძელებას. თუმც „სკუდერიის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო ყოველ ნაბიჯზე აცხადებდა, კი გვინდა, მიხაელი რაც შეიძლება, დიდხანს დარჩეს ჩვენთან, მაგრამ ძალას არ დავატანთ, რადგან მხოლოდ მისი გადასაწყვეტია, რას გააკეთებს 2004 წლის მერეო.

მოვლენები რატომღაც დაჩქარდა. შუმი რამდენიმე დღეა, ჩრდილო ამერიკაში იმყოფება და კანადის დიდი პრიზის გათამაშებისთვის ემზადება. სწორედ ამ დროს გახდა ცნობილი, რომ „სკუდერია-ფერარიმ" მასთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით, ესე იგი, 2006 წლის ბოლომდე გააგრძელა. გერმანელი სუპერპილოტის გარდა ყველაზე ტიტულიან საფორმულო საჯინიბოში ამდენივე ხნით დარჩებიან სხვა წამყვანი ფიგურებიც — გენერალური დირექტორი, ფრანგი ჟან ტოდტი, ტექნიკური დირექტორი, ინგლისელი როს ბრაუნი, მთავარი კონსტრუქტორი, სამხრეთაფრიკელი რორი ბირნი, ძრავების კონსტრუქტორი, იტალიელი პაოლო მარტინელი...

შეთანხმების ფინანსურ მხარეზე საქვეყნოდ არაფერი თქმულა. ზოგიერთი საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, მიხაელი ხუთი მილიონი დოლარით მეტს მიიღებსო, სხვები პირიქით, ამდენივეს მოკლებაზე ლაპარაკობდნენ. ვფიქრობთ, მსოფლიოს ყველაზე მაღალხელფასიანი სპორტსმენისთვის, რომელიც წელიწადში ორმოც მილიონ დოლარს იღებს და, სულ მცირე, ერთ ამდენივეს სარეკლამო შემოსავლის სახით, იმ ხუთ მილიონს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მით უმეტეს, რომ, როგორც თავად აცხადებს, მართალია, ცხოვრებაში ყველაფერს მიაღწია, მაგრამ რბოლის და, რაც მთავარია, გამარჯვების სურვილი ჯერაც არ განელებია: „მე მიყვარს ეს სპორტი, რომელსაც ამდენი ხანია მივდევ, თანაც „ფერარიში" თავს სავსებით კომფორტულად ვგრძნობ. ამიტომაც ვაგრძელებ კონტრაქტს 2006 წლის ბოლომდე. იმ ფაქტმა, რომ ჟან ტოდტი და სხვებიც იგივეზე დათანხმდნენ, უფრო გამიიოლა გადაწყვეტილების მიღება. ძალიან მსიამოვნებს ასეთ გუნდთან, უახლოეს მეგობრებთან მუშაობა და იმედიც მაქვს, რომ მათთან ერთად უფრო დიდ წარმატებებს მივაღწევ. ვფიქრობ, წინ რამდენიმე საუცხოო სეზონი გველის. მე, როგორც ყოველთვის, მზად ვარ, ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავიღო და მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის ვიბრძოლებ. „ფერარი" ჩემი მეორე ოჯახია და მეამაყება, რომ ამ საოცარი გუნდის წევრი ვარ".

**გია ახალაძე**



NHL სტენლის თასი

ფინალი ოთხ მოგებამდე

# ეშმაკს არ სძინავს, ზეიმობს

9 ივნისი

**ნიუ ჯერსი 4:3 ანაჰაიმი**

**ნიუჯერსი 3:0 ანაჰაიმი 0:0 2:0 1:0**

**1:0 რაპი (23), 2:0 ფრიზენი (33), 3:0 ფრიზენი (57)**

ნიუ ჯერსი: ბროდო; სტივენსი — რაფალსკი, ნიდერმაიერი — უაიტი, დანეიკო — ალბელინი; ბრილინი-რიომი — სტივენსონი, ჯიონტა — მედენი — პანდოლფო, ელიაში — გომესი — მარშალი, ფრიზენი — რაპი — ლანგენბრუნერი

ანაჰაიმი: ჟიგერი; ჰაველიდი — კარნი, ოზოლინში — სოიერი, ვიშნევსკი — სალეი; ლეკლერკი — რუჩინი — ნიდერმაიერი, კარია — ოუთსი — სიკორა, ტომასი — პოლსონი — ჩისტოვი, შუინარი — კროგი — ბილსმა

**2003 წლის** სტენლის თასი ნიუ ჯერსიმ მოიგო. უმძიმეს, შვიდრაუნდიან პაექრობაში ბოლო სიტყვა მაინც „ეშმაკებმა" თქვეს. უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში ნიუ ჯერსიმ მესამედ მიაღწია ესოდენ დიდ წარმატებას და ამით კიდევ ერთ გამორჩეულ გუნდს, დეტროიტს გაუტოლდა. გადამწყვეტ ბრძოლაში პირველი და, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი გოლი გაიტანა მაიკლ რაპმა, დებიუტანტმა, რომელიც მხოლოდ ბოლო 4 ფინალურ თამაშში გამოჩნდა ყინულზე.

ახლა იმაზე, თუ როგორ ჩაიხარშნენ „მძლავრი იხვები" ეშმაკთა ქვაბში. ანაჰაიმმა ნიუ ჯერსის ყინულის კომპლექსი ვერა და ვერ დაძლია. 1996 წლიდან მოყოლებული ვერ ახერხებენ „მძლავრი იხვები" ისტ რეზერფორდში მოგებას, თუმც ეს ერთადერთი, მთავარ ფინალში გამარჯვება ყველა ფიასკოს გადაწონიდა... მაგრამ... როგორც ჩანს, წინა სამი გასვლითი მარცხისგან დასკვნები არ გაკეთდა. ანაჰაიმის თავკაცმა მაიკ ბებკოკმა ჯერ კიდევ მატჩის წინ განაცხადა, რომ გუნდი ტაქტიკას არ შეიცვლის. არადა, განა ნათელი არ იყო, რომ მათმა ზეფრთხილმა დაცვითმა ტაქტიკამ „ეშმაკთა" ყინულზე ვერ გაამართლა. ნიუჯერსელთა თავკაცმა პეტ ბიორნსმა კი მხოლოდ ერთი რამ შეცვალა — ვეტერანი კენ დანეიკო ძირითადში დააბრუნა. ამ კაცმა მთელი კარიერის განმავლობაში უერთგულა ნიუ ჯერსის, მაგრამ ახლა ძველებურად ველარ სრიალებს და ფინალის წინ არც უთამაშია, მაგრამ ბიორნსმა ქომაგებს უგდო ყური და დანეიკოს ყინულზე გასვლა მართლაც იღბლიანი გამოდგა.

საინტერესოა, რომ გადამწყვეტი შეხვედრა სერიის პირველ ორ მატჩს დაემსგავსა და ეს მარტო საბოლოო შედეგს როდი ეხება. თამაშის სიუჟეტიც განმეორდა — პირველ პერიოდში გუნდები კვლავ ზვერავდნენ ერთმანეთს, თუმც ნიუ ჯერსი მაინც უკეთ გამოიყურებოდა. ისევ მეორე მესამედის საწყისმა წუთებმა სწია ბედს მასპინძლები. „ეშმაკებმა" ათასჯერ გამოყენებული და დაზეპირებული კომბინაცია გაითამაშეს და სკოტ ნიდერმაიერის დარტყმის შემდეგ მაიკლ რაპმა ოსტატურად შეუცვალა შაიბას მიმართულება. 1:0 და ეს თითქმის უკვე ნიუ ჯერსის მოგებას ნიშნავდა, რადგან პირველი გოლის ფაქტორი აქამდეც ყოველთვის გადამწყვეტი იყო. ანაჰაიმს წინ კიდევ ორი პერიოდი რჩებოდა. სტუმრებიც გააქტიურდნენ და ერთი-ორჯერ ისიც მოახერხა ეს, რომ მეტოქე მისსავე ზონაში ჩაეკეტათ. ისე ჩანდა, რომ ცოტაც და ანგარიში გათანაბრდებოდა, მაგრამ 33-ე წუთზე ნიუ ჯერსიმ პირველი გოლისნაირი კომბინაცია გაითამაშა: ისევ ნიდერმაიერის დარტყმის შემდეგ ასხლტა შაიბა, პირდაპირ ჯეფ ფრიზენს მიუვიდა, მანაც არ დააყოვნა და გააორმაგა ანგარიში. ასეთ თამაშში ეს უკვე გამარჯვების საწინდარი იყო. ერთადერთი რეალური შანსი სტუმრებს მესამე პერიოდში ჰქონდათ, მაგრამ პოლ კარიას დარტყმის შემდეგ შაიბა კარის ხაზზე გაშხლართულ ტერნერ სტივენსონს მოხვდა. ცოტა ხანში კი ფრიზენმა დუბლიც შეასრულა. საფინალო სირენამდე წამები რჩებოდა, რომ ნიუ ჯერსის მთელი შემადგენლობა ყინულზე გაჩნდა, მაგრამ არბიტრებმა ამას ყურადღება აღარ მიაქციეს. ყველაფერი ნათელი იყო — ნიუ ჯერსი ჩემპიონი გახდა.

შემდეგ მოეწყო ცერემონია, რომელზეც ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა ნიუ ჯერსის კაპიტან სკოტ სტივენსს თასი გადასცა. მადლიერმა ქომაგობამ თავის კერპებს ოვაცია შეაგება. უკმაყოფილებამ მხოლოდ ერთხელ გადაუარა „ეარლაინს არენას". ეს მოხდა მაშინ, როცა უძვირფასეს მოთამაშედ ანაჰაიმის მეკარე ჟან სებასტიან ჟიგერი დასახელდა. ვერავინ იტყვის, რომ ჟიგერს არ ეკუთვნოდა „კონ სმაიტ ტროფი". მართალია, მისმა ნიუჯერსელმა კოლეგამ მარტინ ბროდომ ფინალში სამი, ხოლო პლეი ოფში სარეკორდო, შვიდი შათაუტი მიითვალა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ჟიგერის როლი ანაჰაიმის წინსვლაში გაცილებით დიდი იყო. „ძნელია ასეთ მატჩში წაგება. ამ პრიზს სიამოვნებით გავცვლიდი თასში" — თქვა მატჩის შემდეგ უძვირფასესმა მეკარემ, რომელმაც ყველაზე მძიმედ განიცადა მარცხი. „კონ სმაიტ ტროფის" მიღებისას მას ერთხელაც არ გაუღიმია. სამაგიეროდ, ბროდო ფრინავდა და ჟიგერის დაჯილდოებასაც კეთილგანწყობით შეხვდა. „ჟიგერმა ეს დაიმსახურა. მე კი თასი მოვიგე, რაც ძალიან მსურდა" — თქვა თასის აწ უკვე სამგზის მფლობელმა ბროდომ. მან და მისიანებმა სავსებით დაიმსახურეს ეს სიხარული.

**სამველ ლარიბიანი**



REUTERS

ორი მეკარე მოზღვავებული გრძნობებით: გამარჯვებული, მაგრამ დაუფასებელი მარტინ ბროდო და წაგებული, თუმც დაფასებული ჟან სებასტიან ჟიგერი



**თასის ბომბარდირები:** ლანგენბრუნერი 18(11+7), ნიდერმაიერი (ორივე ნიუ ჯერსი) 18(2+16), გაბორიკი (მინესოტა) 17(9+8), მედენი (ნიუ ჯერსი) 16 (6+10), ჰოსა (ოტავა) 16(5+11), მოდანო (დალასი) 15(5+10), ფრიზენი (ნიუ ჯერსი) 14(10+4), ნესლუნდი (ვანკუვერი) 14(5+9), ზუბოვი (დალასი) 14(4+10), ბრიუნეტი და უოლცი (ორივე მინესოტა) 13(7+6)



# ლუისი–კლიჩკო გადაწყდა

მძიმე წონაში კვლავ ხმაურია: ლოს ანჯელესის „სტეიპლს სენთერი" თერთმეტი დღის თავზე დიდი სანახაობის მოწმე უნდა შეიქნეს. ორი თვეა, გამოცხადებული იყო, რომ მსოფლიოს ნამდვილ ჩემპიონ ლენოქს ლუისს ერთი, ძველთაგანვე შემორჩენილი რიოში ქამრისათვის უნდა ეჩხუბა კანადელ კირკ ჯონსონთან, ამ ჩხუბის ანდერქარდში კი ვიტალი კლიჩკო სედრიკ ბაუელს უნდა შეხვედროდა.

ისე მოხდა, რომ გასულ კვირაში ჯონსონმა ტრავმა მიიღო და ოთხ-ექვს კვირიანი დასვენება გამოუწერეს. მისმა ბანაკმა კონტრაქტის თანახმად ბრძოლის გადადება მოითხოვა, თუმცა ლუისის ხალხი კონტრაქტის ხვეულებში მოქნილად გაერკვა და ბრძოლის გადადება კი არა, ახალი მეტოქის ძებნა დაიწყო.

საძებარი შორს არ იყო, ლუისმა გამოაცხადა: „მე ნამდვილად მინდა ვიტალი კლიჩკოსთან ბრძოლა. ეს კარგი ჩხუბი იქნება ლოს ანჯელესისთვის."

ბანაკები საბოლოოდ გუშინ შეთანხმდნენ — ლენოქს ლუისი და ვიტალი კლიჩკო ერთმანეთს 21 ივნისს ეკრივებიან.

„დიდი ხანი ვოცნებობდი ლენოქსთან შეხვედრას, ეს დიდი ბრძოლა იქნება" — ამბობს ვიტალი, ვისაც საკრივო ხურჯინში 32 გამარჯვება და ამის წილად ერთადერთი მარცხი უწხრიალებს. კირკ ჯონსონებს და მისთანა კი მუყაოს მოკრივეებს უჩევნიათ, ერთმანეთის მოუქნიონ ხელი.

საკვირველი კი ის არის, რომ ლუისი აქამდე უფროს კლიჩკოსთან კრივს უარობდა. შარშან, წლის ბოლოს ვბკ-მ (საბჭო) გამოაცხადა, რომ მისმა ჩემპიონმა ლუისმა კლიჩკოსთან ბრძოლაში უნდა დაიცვას ჩემპიონობა. თუმცა ლუისმა მაშინ თქვა, ეგ ჩხუბი არ მაინტერესებს და იმდენად არ მაინტერესებს, რომ ქამარსაც დავითმობო. საბჭომ, ისევე როგორც მთელმა მსოფლიომ, იცის, რომ ქამრით თუ უქამროდ ლუისი უძლიერესი მოკრივეა დედამიწის ზურგზე, ამიტომ სკანდალს მოერიდა და ვიტალი ხახამშრალი დატოვა. ახლა კი ლუისის ბანაკი დათანხმდა კლიჩკოსთან დიდ საჩემპიონო ჩხუბს.

მის შესაძლო მოწინააღმდეგეთა ჩამოთვლაზე რომ მიდგება საქმე, ლუისი ამბობს, რომ აღარასოდეს ეკრივება მისგან შარშან ნაცემ მაიკ ტაისონს და თუ 21-ში კლიჩკოსთან ბრძოლაში საბჭოს ქამარს დაიცავს, მერე ასოციაციის (ვბა) ჩემპიონ როი ჯონსს შესთავაზებს პაექრობას. საშუალო წონებიდან ამძრულმა გენიალურმა მოკრივემ, როი ჯონსმა წლეულს მარტში აართვა ასოციაციის ქამარი ჯონ რუისს და თავიდან ამბობდა, მძიმე წონაში ჩხუბი ჩემი ერთჯერადი აქცია იყო, ტიტულის დაცვას არ ვაპირებო. მაგრამ, მალა ჭამაში მოდისო და, მისი პრომოუტერი მურად მუჰამედი დონ კინგს დაკავშირებია, ევანდერ ჰოლიფილდი გამოაფხიზლე, ნოემბერში ამ ორთა შორის საჩემპიონო ბრძოლა ვქნათო.

ოღონდ, მურადი ჩქარობს და რაც შეიტყო, ლუისმა ჩვენსკენ გამოიხედაო, კინგს ვადა დაუთქვა, პასუხი ამ ათ დღეში გვითხარი, თორემ მეტოქედ ლუისიდა დაგვრჩება და ამ დიდ ბრძოლას ნამდვილად მოვახდენთო.

კინგი დუმს და თითქოს ყველაფერი ამ მართლაც საინტერესო კრივობისკენ მიემართება.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**





ვიტალი კლიჩკოს ლენოქს ლუისთან შეხვედრის ნება დართეს

# ქალები და ლონისძიებები

მსოფლიოს ცნობილ ქალთა ფოტოები სპორტთან მიმართებაში, დიახაც, საინტერესოა. რა არის, რომ სულ ნაირგვარი პროფესიისა და წარმომავლობის ქალები სულ სხვადასხვაგვარ ფიქრებს აღძრავენ. ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ მეორე ჩვეული ელეგანტურობით, სამყაროს ბებიის იერით მიაბიჯებს იფსომის ბალახზე, სადაც მალე განთქმული იფსომ-დერბი დაიწყება. ამგვარად ჩაცმულ ლეილა ალის შესახებ ნამდვილად ვერ იტყვი, რომ ეს გოგო მოკრივე გახლავთ. სალამოურად გამოწყობილი ლეილა სენსის ჯილდოების ცერემონიალზე მისულა. პოპ ვარსკვლავ ჯეველს კი კაცი შორიდანვე ამოიცნობს. ეს ლამაზმანი თავისი სიმღერით ენბეური ფინალის მესამე მატჩს ხსნის „ნიუ ჯერსისა“ და „სან ანტონიოს“ შორის.



REUTERS




REUTERS ჰოლივუდიდან



REUTERS ლონდონიდან

# ო, მშვიდობა

სუულში დიდი ყეენობა რამ გაიმართა. ზეიმს ერქვა „ო, მშვიდობა კორეას“. ამ ხალისიანი ცეკვა-თამაშით სამხრეთკორეელები მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის წლისთავს აღნიშნავენ.



REUTERS სეულიდან



REUTERS

# კიდევ ერთი სტრიკერი

სტრიკერი საერთაშორისო პროფესიაა, მაგრამ უფრო ბრიტანელებს ემარჯვებათ. ტიტლიკანა მარკ რობერტსი როლან გაროსის მთავარ კორტზე კაცთა ფინალის დროს გადმოეშვა. ისე, ამ ბოლო დროს სტრიკერებმა ფულის კეთებაც ისწავლეს, ტანზე სარეკლამო განცხადებებს განითავსებენ ხოლმე. საჩოგბურთო ბურთებისგან ასხმული წინსაფარი კი დიდად ვერ მოხმარებია რობერტსს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუხაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი კაპანაძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგილაშვილი, რუსუდან ლარსველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge